www.Litklubi.ge

ეთნოგრაფიული პროზა აჭარული მოტივებიდან

ს ა ს ე ლ ა

გ უ ლ ა

ჩვენი სოფლის თავიკაცის,რეჯებალას ბადიშს დუნია* იცნობდა.ნამეტანი ჩინგანი* იყო ეს თორმეტი წლის ბაღანა.მისი გუუკეთებელი რამე აღარ დარჩენილიყო, მარა* ბაბუამისის შიშით ვინ გუუბედავდა ზედმეტის თქმას.

ერთხელაც ნამეტანი შეტოპა და ზედმეტი მუუვდა.ყველაფერი იქიდან დეიწყო,რომ სოფლის ხოჯას ვერ იტანდა.ყველაზე მეტს მის თხასავით წვერზე და მოტლეპილ* თავზე ოხუნჯობდა.ხოჯაც მისი შიშით სულ ქუდჩამოფხატული დეიარებოდა.კაცი,რომლის შიშით სოფლის ბაღნები მის ახლოს ხმამაღლა ლაპარიკსაც კი ერიდებოდნენ,ამ ღლაპს* ძაღლივით არიდებდა თავს. ესაოდა, ბაბუამისს ვცემ პატივსო,ხან ,,პატრონის ხათრით ძაღლსაც კი არ უნდა დაარტყა ჯოხიო“-იმართლებდა ხალში თავს... მარა,ცოდვა გამხელილი ჯობია,იცოდა ხოჯა ეფენდიმ, რომ აი ბაღანა ერთს გეჲოხუნჯებდა გონჯად და მერე მთელი თვე იჭაჭებოდა მის ზურგს უკან მთელი სოფელი.

ჰოდა, იმას ვამბობდი,რომ ერთხელ ნამეტანი მუუვდა მეთქი.იმ დღეს ხოჯამ ვეღარ მეითმინა ამ ბაღნის კიდევ ერთი უშნო გამოხტომა და მედრესეში ყურანის სწავლიხან ნახევარი საათით ლობიაჲს მარცვლებზე დააყუყვა*.მერე მთელი ნახევარი საათი ფიქრობდა შეჲთანზე* ადრე დაბადებული ბაღანა,თუ რაფერ წეესხმევია ცხვირ-პირიდან ხოჯისთინ ეს ამბავი...სახლში წამოსლიხან * მედრესეჲს ოდაში მეორე ხოჯა შემოვდა.ცალი თვალი კი გააპარა ლობიაჲს მარცვლებზე დამუხლულ რეჯებალას ბადიშისკენ, მარა სიტყვის თქმა ვერ გაბედა.ახლა მის ადგილზე რომ სხვა ყოფილიყო, შეიძლება უკნიდან პანღურიც კი ეთავაზებინა,მარა აჲ ბაღანა სხვა იყო და პირდაპირ ხოჯა ეფენდისკენ გეეშურა.ხოჯა გრძელ სექვსზე იჯდა და ნახევრად თვლიმავდა*. ოდაში შემოსული ხოჯის დანახვაზე ნახევარად წამოწია გვერდი და ბუჯაღისკენ* გეეწურა*.რეჯებალაჲს ბადიშმა ყურები ცქვიტა.მიხდა,რომ ახლავედა მეეფიქრებია რამე,ან მთელი სოფლის საშაყირო გამხდარიყო ეფეჲჯა* ხანი. რაცხაფერ* ყური მოკრა, რომ დღეს, ლოცვის მერე ჯამიკარის* ნალიიქვეშ პურიდა ეჭამენ სერი გაღმელი ხოჯების ერთად.ამის გაგონებაზე ერთი წუუფხუკუნა ბუჯაღში ჩამუხლულმა და ძაღლივით ცქმუტუნი დეჲწყო.ხოჯა ეფენდიმ გვერდულად გამოხედა ბაღანას,იფიქრა ნამეტნავად* დეჲღალაო და პირუკუღმა ამეჲბლუკუნა:

-ახლა სახლისკენ უუდე და ბაბუაშენს რომ ვნახავ,სათქმელს ვეტყიო.

კუნტრუშ-კუნტრუშით გეჲრბინა დასჯილმა ეზო და სულაც არ უფიქრია ხოჯის მუქარაზე.ეტყოდა არა ხვიტი!რამეჲს მთქმელი რომ ყოფილიყო,აქამდეც ეტყოდა.რაც ამას დღემდე იბრეთი საქმეები უკეთებია,ახლაც ბაბუამისის წინდა იდგეს დორბლმორეული.

კუნტრუშით გეჲქცა მეთქი კი ვთქვი მარა,იმფერი* გადატყავებული ჰქონდა ბაღანას მუხლები, რომ სიმწრისგან მომდგარ ცრემლებს მჯიღებით იწმენნდა ვინმემ არ დიმინახოს სასირცოდო*. ბზების გადაღმა ღელიპირში ჩევდა და მუხლებზეჲთ* ეჲკოტავა* ზიგვაის* ტოტები*. -,,შენი კაცობაცო!“-ერთი მიაწირეხა* ხოჯას და ყინულივით ცივ წყალში მუხლებამდე შევდა.ცოტა ხანი ასე იდგა და როცა მუხლებში ტკივილმა უკლო,სახლისკენ გეეშურა.

სახლში ნამეტარი სხვანაირად იქცეოდა.... იცოდა,რომ ბაბუამისს მისი დიდი იმედი ჰქონდა და ისიც გულს არ უტეხავდა.იმდენად ხიზმეთი*, დუუზარელი და ზრდილობიანი იყო სახლში რომ, ნამეტანიც* რომ დომებოდა ვინმეს,ვერაფრით დააჯერებდა ბადიშის სიგონჯეში რეჯებალას.

ჭიშკარში შესულმა კაკლიძირში ბაბუამისი დეჲნახა და პირდაპირ მიისკენ

გეეშურა.მოხუცს ფეხებშუა ნახევრად მოქსოვილი გოდორი ედვა.იქვე წყლის ღარში ჩეეყარა კაი ჯაყვა დანით თხლად დაჭრილი და მრგვალად მოხვეული თხილის ხაშრები*.ღობეზე კი ბლომად მიეყუდებინა ჯერ კიდევ დუუმუშავებელი საგოდრე მასალა.

-ბაბუ,კიდვენ უჩემოდ წეჲ ტყეში ხომ?-ნაწყენი ხმით უთხრა დაღლილ ბაბუას ბადიშმა.ბაბუამ კი კითხვა შეუბრუნა ბადიშს და ჩაჭუჭული თვალით კითხა:

-ჰად* იყავ ამდენ ხან,დურსუნაჲს ბაღანამ ეფეჲჯა ხნის წინ გეიბინა* სახლისკენ.

-რა ვიცი ბაბუ,მაგას ეტყობა დილით კაიმაღი*და ცხელი პური არ უჭამია და ნამეტნავად ეჩქარებოდა, თვარა* ბაბაჲს სულს ვფიცავარ, ახლა თუ არ გამოგვიშვა ხოჯამ.

ბაბუამ ალერსით ახედა ხაშარივით აშოლრილ* ბადიშსს და მის ხანუმს დუუძახა: -,,ხენიფე ხანუმ,ბაღანას საჭმელი დუუდგი* და აგზე* მუუტანე,ნამეტანი დაჭყანული აქ სიფათი შიმშილისგანო.“

-არა ბაბუ,ოდაში შევალ-წამეიძახა გულამ და სახლიკენ მოკურცხლა.ზეზევლად წეილუკმა,ბებიას ლოყაზე აკოცა და სახლის უკან ბაბუას სათახუმოში* შეეპარა.საჭირო ნივთები ეიღო და პირდაპირ ჯამიკარისკენ დუუწიწინა*...

ნალიასთან ახლო მისულმა ფიცრულს წრე დაარტყა.ძველი ნალია ოთხ მსხვილ დირეღზე* იდგა.ნალიასა და დირეღებს* შორის თაგვების შიშით მიწიკენ პირით მეემწყვდიათ ბარქაშები*.ეს ფიცრული ალბათ ასი წლის მაინც იქნებოდა და ალბათ ამიტომაც ნაცეცხლურივით გაშავებულიყო.გულა პირველად კიბეზე აძვრა და ნალიაში შეიყუჟა. იქიდან კარგად დაზვერა გარემო და როცა ჯამიკარის ღობეზე ხოჯის ვირი დეინახა მიბმული,ყველა გადაწყვეტილება ერთად უარყო და გახარებული ჩამოხტა ნალიიდან. სახლიდან წამოღებული სათახუმო გახსნა და პაწაი* ხერხით ნალიის ორი დირეღი მთლიანად გადახეხა.გულამ კარგად იცოდა,რომ ორი კვირის წინ აგზენ სოფლის ბაღნები თამაშობდენ და მაშინ,ხოჯას რომ არ მეესწრო* შეიძლება ცეცხლიც კი გეეჩინათ ფუჩეჩებში.ამიტომაც ეჭვს ვერ მიიტანდნენ მასზე და ყველაფერი იმ პაწვან* ბაღნებს დაბრალდებოდა. ხერხვას რომ მორჩა,ნახერხაი ფუჩეჩებით მიმოხვეტა და ხოჯის ვირი ღობის მაგივრად მოხერხილ დირეღზე მიაბა.ვირს მისი ხიზმეთები* წყალში რომ ჩეეყარა,ბლომად ბალახ-ბულახიც მუუმცრია* და იქვე მიწაში ნახევრად ჩაფლულ საძიძგველში წყალიც ჩუუსხა.

ხოჯები ახშალამაზიხან* გამოჩნდნენ ორღობეში.ნალიის ძირში დაალაგეს სახლიდან წამოღებული კალათები და დირეღზე ჩამოკიდული დაბალი ტაბლა ჩამოხსნეს.სუფრა რომ გაფინეს, ზედ კაიმაღი,მჟავე,ყველი,მწვანილი და ცივი დედალი ამოალაგეს.მერე ნალიიქვეშიდან ძველ-ძველი ჯორკოებიც გამოაძრეს და შეუდგნენ პურობიას.გულამ იცოდა,რომ ჭამა-სმის და ლოცვის დროს გაკეთებული იანღლიში დიდი ცოდვა იყო,ჰოდა მოთმინებით უცდიდა წასასლელად როის ეიშლებოდენ ბერები.

ბევრი ცდა მუუწია ბაღანას.

სოფელი რაის სოფელი იქნებოდა,ხოჯების ქეიფი რომ გამოპაროდა და თავისი წილი არ შეემატებინა მათი მაგიდისთვინ.პურობას შესწრებული და სახლში მისული მგზავრები ბაღნების ხელით უგზანიდნენ ცხელ-ცხელ ბორანოსა თუ კეცზე შემწვარ ზეითუნის კაკლებიან მჭადს,ქოთნით მაწონსა თუ ჯამით ლობიოს. მარა,ყადიოღლი დაუთაჲს ჩამოვლა რომ გუუხარდენ,ისე ვინმეის ნახვა არ გახარებიან ხოჯებს. შეძლებული დაუთაჲს პურმარილი საქვეყნოდ იყო ცნობილი და კარგად იცოდნენ ბერებმა,თუ რაფრად* გეჲვსებოდა ახლა მათი მაგიდა.

დიდი ურწმუნო ვინმე ყოფილა ეს დავითაჲ და რეჯებალაჲს ბადიშის არ იყოს,მასაც დიდათ არ ეხატებოდა გულზე ჩვენი ხოჯები.მარა,წესის და ადეთის კარგად მცოდნეს,პურმარილში ხალხის გამორჩევა დიდ უნამუსობად მიაჩნდა და ყველას ერთნაირად უმასპინძლდებოდა მის ბაბავათანში.ახლაც ჩაალაგებია კალათაში ქათმის აპოხტი,გაცხელებული ყაურმა და ნიგვზით შეზავებული ფხალის მჟავე.ზედ მიაყოლებია ბაქლავა,ბურმე და ფელამუში,თურქეთიდან გადმოტანილი ლახათლუხუმი და ქალაქიდან

ამოტანილი ჩურჩხელები...დუუძახა მის ყაზირალს*
და ხოჯებთან გაატანა.სანამ მისი ბაღანა ეზოის ჭიშკართან მივდოდა,ნალიის ქვეშ მდგომმა დაუთამ დუუძახა და მასთან ახლოს მისლა ანიშნა.ჯემალას ბუჟუღებში* ჩეეცინა და ბაბაჟსკენ გუუყვა.

დაუთას ნალიის გვერდით ქვის პატარა ოდა ჰქონდა გაკეთებული,რომელსაც საკაცოს ეძახდა.დედიმისის შვილი იქნებოდა ვინმე,რომ მის უკითხავად იქ შესულიყო ვინმე.ცოლსაც კი არ აძლევდა ამის უფლებას.ჯემალამ იცოდა, რომ ახლა ნენეჟს ჩუმად ღვინო ჰქონდა გამზადებული გასატანებლად და ამიტომაც მეჟხედა უკან ნენეჟ ხომ არ მიყურებსო...

ჯემალაჟს გამოჩენამ ისევე დააჯა ბერები,რაფერაც გაახარა.თავში დამავიწყდა მეთქვა,რომ ყადიოღლი დაუთას ერთი იბრეთი* ადეთი* ჰქონდა: მის პურმარილზე მოსული კაცი თუ ღვინოჟს დალევაზე ვარს იტყოდა,ვერ პურს გასინჯავდა.ჰოდა იცოდნენ ახლა ხოჯებმა,რომ დაუთას სანაქებო პურმარილს აუცილებლად მოყვებოდა ღვინო;მათ კი ან პურობაზე უნდა ეთქვათ ვარი,ან კიდევ მუსულმანურ ადეთზე*.დღემდე არაერთხელ შესწრებიან ხოჯები დაუთას პურმარილს და ,,ცოდვა გამხელილი ჯობიაო“ და უნდა ითქვას,რომ არც ერთხელ უთქვამთ ვარი დალევაზე...მხოლოდ შეზარხოშებულებს წამოცდენიან ხოლმე,რომ ღვინის სმა ძველებიდან მოგვდევს* და ამიტომაც წევეპარებით ხანდახანო...

ჯამიკარის ნალიასთან მისული ჯემალა მოწიწებით მიესალმა ხოჯებს, მეჟკითხა მათი ჯანის და ოჯახის ამბები. თავისი ხელით ამოალაგა სუფრაზე ბაბაჟს მოკითხული,ტაბლიქვეშ ღვინის ტიკიც შეაცურა და სახლისკენ გაბრუნდა. მართალია, დაუთას აღზრდილი იყო ჯემალაჟ და მასაც ვერ ხიბლავდნენ ხოჯები დიდად,მარა უფროსების პატივისცემა არავისგან ესწავლებოდა.

ჯემალაჟს მოსლამ ხოჯების პურობა კიდევ უფრო გააგრძელა.საცაა მთვარე ეჟწვერებოდა დუნიის კაფაღზე* და გულას სახლში დააგვიანდებოდა.მარა, ჩაფიქრებულის გადაფიქრებას ცოცხალი თავით ვერავინ აიძულებდა.მის იღბალზე პაწაჟ წამოწვიმა და ხოჯებსაც სისწრაფე დეეტყენ*.რეჯებალაჟს ბადიშის გულშიც წამოშიშინდენ შეითნები და მუგუზალივით გუუბწყინეს ტყის პანტა ბალივით ყურყუმელაჟ თვალები. დაუთას ღვინოს შეპარებული ხოჯები კარგა გვარიანად შემთვრალიყვენ. ახლა ვინმეს ბარქაშზე ხელების ტყაპუნი რომ დეეწყო, შეიძლება ამაზეც აცეკვებულიყვნენ ბერები.

ჰამანქი გულაჟს ჯერი მოსულიყო.

უცქერდა ბაღანა ბერების ღლაბუცს და ბაბუას ნამღერი განგდაგანა ახსენდებოდა:

,,ახალგაზრდებს რანდა უთხრა,

ბებრებია ატეხილი“

ჰოდა იმანაც ღობეს გრძელი ჯოხი ამოაძრო და ნელნელა გააპარა მისი წვერი ნალიის დირეღზე მიბმული ვირის უკანალისკენ. მარა,სანამ გულაჟ მიაჭერდა ვირს უკანალში,ხოჯამ ნალიიდან უთავაზა წიხლი თავის პირუტყვს და იგიც უკუღმა გახტა სიმწრისგან.სიმწრიგანო ვამბობ მარა, სიმწარე დუმაში გაჩხერილი ხიშტის უნდა გენახათ თქვენ.ერთი იმფერი დეიბღორინა* ვირმა რომ რეჯებლაჟს ბადიში თავქუდმოგლეჯილი გაწიწინდა აწვერილ სიმინდებში....

ვირის ბღორინზე ბერები ქორდაცემული ჭუჭულებივით* გეჟფანტენ აქეთ-იქით.მხოლოდ ჩვენი ხოჯა ეფენდი დარჩა ნალიის ძირში და პირდაღებული უყურებდა თავის ფეხს,ამფერი რა ამოვკარი იმ შეჩვენებულს, რომ ბღორინით თავზე დამახურა სოფელიო.სოფლისა რა მოგახსენოთ,მარა ამდენ ჯახირში, საგულდაგულოდ გადახერხილი ნალია კი მართლა კინაღამ* ჩამოამფხო თავზე გოდორივით. ვირის გამწარებულმა ჯახირმა ისე მოარყია რეჯებალაჟს ბადიშის მიერ საგულდაგულოდ გადახერხილი დირეღები, რომ წაქცეული კაცივით გადაქანდა უკან ფიცრული და ფეხებივით ააშვირა დირეღები. გადახერხილ დირეღს წამოძრა ვირის საბელი* და შეშინებული სახედარი უკანმუუხედავი გაშპა*

ღელიპირში. წაზარხოშებულმა ბერებმა ყველაფერი ალლაჰის რისხვას მიაწერეს და კუდამოძუებულნი გეიკრიფენ სახლებისკენ.

დააყუყვა-დაამუხლა;
სასელა-ნაადრევი მსხლის სახელწოდება აჭარაში;
დუნია-ქვეყანა;
ჩინგანი-ცელქი;
მარა-მაგრამ;
მოტლეპილი-მელოტი;
ღლაპი-მოზარდი(აგდებულად);
წამოსლიხან-წამოსვლის დროს;
ბუჯაღი-კუთხე;
გეეწურა-გაიწია;
ეფეიჯა-საკმაო;
რაცხაფერ-როგორღაც;
ჯამიკარი-ადგილი,სადაც ჯამე,ანუ მუსულმანტა სალოცავი დგას;
ხიზმეთი-წვალება,გარჯა;
აშორლილ-ტანში აყრილ;
ნამეტნავად-ძალიან;
უუდე-წადი(დამცინავად);
იმფერი-ისეთი;
სასირცხოდ-სასირცხვილოდ;
მუხლებზეით-მუხლის ზევით;
ეიკოტავა-აიკეცა;
ძიგვაის ტოტები- ანუ შარვალი;
მიაწირეხა-მიაგინა;
ნამეტარიც-ძალიანაც;
დომებოდა-სდომებოდა;
ხაშარი-ერთიანად აშოლტილი თხილის გრძელი ჯოხები;
წეი-წადი ანუ წასული იყავი;
ჭო-ბიჭო;
ჰად-სად;
გეიბინა-გაირბინა;
კაიმაღი-რძის ნაწარმი,შინაური არაჟანი;
დუუდგი-დაუდგი;
ნამეტნავად-ძალიან;
თვარა-თორემ;
აგზე-აქ;
სათახუმო-ანუ ადგილი,სადაც შრომის იარაღებს და ათას წვრილმანს ინახავენ;
თვლიმავდა-თვლემდა;
დუუწიწინა*-მოკურცხლა,გაიქცა თუ რაღაც ამდაგვარი;
ბარქაში-გობი
პაწაი-პატარა;

დირეღი-ბოძი;
მეესწრო-მოესწრო;
პაწვანებს-ანუ პატარებს;
მუუმცრია-მოუგროვა;
ახშალამაზიხან-საღამოს,შებინდებისას;
პურობიას-პურობა;
რაფრად-ვითარ,როგორ;
ბაბავათანი-სახლეული,სამკვიდრო;
ყაზირალი-ახალგაზრდა ბიჭი;
ბუიუღებში-ულვაშები თურქულად;
ნენე-დედა;
იბრეთი-უცნაური;
ადეთი-ადათი;
მოგვდევს-მოგვდგამს;
კაფაღი-სახურავი,აქ ცა;
დეეტყენ-დაეტყოთ;
ჰამანქი-ლამის;
დეიბღორინა-დაიყროყინა
ჭუჭულებივით-წიწილებივით;
კინაღამ-ლამის;
ზეითკენ-ზევით;
გაშპა-გაიქცა,გაძვრა,გაქრა(გაერთიანებული მნიშვნელობით);
საბელი-თოკი;

ხ ა ტ ო

აქოშინებული შევარდა გულაჲ ეზოში და სახლის უკანიდან მის ოდაში გედეჲპარა.მთელი ღამე ბორგავდა ბაღანა და სინდისის ქენჯნით კტებოდა. კიდვენ კაჲ,რომ მეორე დილით ჰადმენ* არ იყო წასასლელი და შვადღემდე კარგად გამეჲძინა. შვადღეზე ამდგარს სასტუმრო ოდიდან სტუმრების ლაპარიკი შემეეყურა. ბაღანამ იფიქრა,გუშინ რაცხა ნამეტანი დავაშავეო და თავჩაღუნული შევდა სტუმრებთან. ოდაში სექვზე* სოფლის კაცები იჯდენ ფეხმორთხმული,მათ შორის იყო ხოჯა ეფენდი და დაუთა ყადიოღლიც.კაცებს ლაპარიკი არ გუუჩერებიან,ბაღნის სალამი ეჲღეს და ისვენ გააგძელეს ბჭობა.გულაჲ ნენულასთან გევდა კერიაში და ჩუმად კითხა რა ხდებაო.ბებიამ თავი გააქნია სინანულით და გაშლილ მაგიდისკენ მუუთითა ბადიშს. ბაგანა მიხდა,რომ საქმე მას არ ეხებოდა და გემრიელად მიირთვა სადილო შეჭამანდი.

ამ ამბიდან რამდენიმე დღეში სოფელში ძალვან დიდი თოვლი მოვდა. ნამეტნავად კაი სამზერელი იყო სოფელი ამფერ დროს.ბაღან-ბუღანა ისე გაახალისა ამ ამბავმა,რომ დილ-დილაი გესულები გვიან ღამეში ბრუნდებოდენ სახში. ნაქილისევის* აღმართზე იმფერი სასრიპინო* გეეკეთებიენ,რომ რამეს რომ არ დეეკავებია,პირდაპირ ღელიპირში ადენდენ ჟღვართანს იქიდან მოწეწილები.

ჩვენი დელი-დულაჲ* გულაჲც ისე გამშპარიყო ქეჲფში*,რომ აღარც ჭამა ადარდებდა და აღარც სმა... იმ დღესაც დილვანაჲ ადგა,კაჲმაღში ჩაფუნჩხილ* ყველს ნენულაჲს მიერ გაჯინჯიხებული რძეც დააყოლა და თიბილად ჩაცმულ-დაბურულმა საფშაკუნოდ* წასლა დააპირა. ის იყო ოდიდან გასლას აპირებდა, რომ ჰავლის* ბოლოში სიმინდით სავსე საშვალო გოდორი დეინახა.ვინცხას რომ ახლა თვალი წამეეკრა ჩვენი ყაზახისთინ, იფიქრებდა სანარწყალში* დუუშპა ფეხი და ფუნაში ამოგორდაო, იმფერი წუუხდა იმ წუთაჲ სიფათი.ახლავენნა ითქვას,რომ დიდი გოდრის დანახვაზე ასე ძალვან არ დეეჭყანებოდა სახე ბაღანას,მარა იცოდა, რომ ამ პაწაი გოდრის ტარება მარტო მას ქონდა გამოწერილი.მარა,ისიც იცოდა,ახლა რომ ბერისთვის ვარი ეთქვა,სიტყვას არ ეტყოდა მოხუცი,გადაყრიდა სიმინდს დიდ გოდორში,ცოტას სიმინდს ზეიდან დუუმატებდა და უუყვებოდა აღმართს წისქვილისკენ. ამის გაფიქრებაზე ცალთვალჩაჭუჭულმა მეიფხანა თავი და ხალისდაკარგული გუუყვა გოდრისკენ.ახლოს მისულმა შით ჩეჲხედა და ნახვარსავსე სიმინდის დანახვაზე ახლად აღინღლულ ბუჲღებში ტკიბილად ჩეეღიმილა.ბაღანა მიხტა,რომ ჯერ კიდევ ებრალებოდა ბაბუამისს მძიმე ტვირთისთვის,მარა არც საფშაკუნოდ გესული ბაღანა უხაროდა სახლიდან.ჰოდა, ამისთვინ მეეფიქრებია ალბათ წისქვილში მისი გაშვება,თვარა ასე უცბათაჲ არ დუუმთავდებოდა თავშემონახულ რეჯებალას ქიბილი. გულამ,ის იყო მეიბღუნკა* გოდრის მოსაკიდებლად,რომ იქვე,გოდრიძირში კარგად გამოკოჭვილი ფუთა დეინახა.ალბათ საგზალიაო,გეჲფიქრა მისთათვინაჲ და სიმინდს ზეჲდან დაადვა.ეზოში გესულმა ნალიიძირში დადგმული მეორე გოდრიდან პაწაი სიმინდი დეჲმატა და ღელიპირს გუუყვა.

რეჯებალას სოფელში ყველაზე უმფო დიდი წისქვილი ედგა.შორიდან რომ შეგეხედა,ჲაილა* გეგონებოდა,მარა ჭკვადაჯერებული კაცი იმთათვინაჲ მიხტებოდა, რომ ამ გავეშებული მდინარის პირში კაცი საცხოვრებელს არ მეიწყობდა.ნამეტნავად შორიდან მუუწია ბაღანას წასლა,რადგან მოკლეზე იმფერი საშლიპინო ქონდენ ბაღნებს გაკეთებული, რომ ზოვლი* ჯიხვიც ვერ მეიკიდებდა ჰადმენ ფეხს.ნახვარი საათის სავალზე სამჯერ მეტი დრო დაჭირდა ბაღანას.მუხლებზე მომდგარი თოვლის გაკვალვა,ისიც გოდორმოკიდული ბაღნისთვინ არ იყო სახუმარო ამბავი,მარა დიდადაც არ ჩქარობდა ჩვენი ყაზახი.თუ ვერ მოასწრებდა დაღამებამდე სახლში დაბრუნებას, წისქვილში გეჲთევდა ღამეს,ნეტაი ლოგინი არ იყო იქ თუ საჭმელ-სასმელი?ამ წისქვილში ყუმარის მოყვარული კაცები ხშირად ათენებენ ღამეებს და რაფერც ჩუმ-ჩუმალაჲ ამბობს ხალხი,თურმე ღვინოსაც წრუპავენ...ისე,ერთხელ ყადიოღლი ჯემალაჲს მოტანილი ღვინო ბაღნებმაც კი დალიეს ამ წისქვილში და მერმენ ისე დათრენ,რომ ღარში უკნიდან შეშვებული წყლით პირუუღმა აბრუნეს დოლაბი...ალლაჰმა უწყის,რამდენი იბრეთი ჩინგნობა* გუუკეთებია გულას ამ ალაგში.ერთხელ კინაღამ ცეცლიც კი წუუკიდა წისქვილს და რეჯებალას რომ არ მეესწრო დროზე, ალბათ მანაც შიგ ამეჲბუგებოდა.მას მერე ეშინია ცეცხლის გულას...

წისქვილში მისულმა გადახურვილში ჩამოდგა გოდორი და რკინის რაზას დუუწყო ჯახირი.ძლივაჲ გახსნა კარები და შიან შევდა.დარაბა გადახსნა და სოფელს გამოღმიდან გახედა.ბუხრის ყელემიდან ამოსული ფუტები რომ არა,მინდორი ეგონებოდა კაცს სოფელი,ისე იყო თოვლით დაფარული. ყიბლისკენ* ნაძვებით დაფარული მისი სახლი ადვილაჲ გაარჩია ბაღანამ და სობის* დანთებას შუუდგა. კვარმა იმფერი კაჲ სუნი დაატრიალა წისქვილში,რომ დაღლილი გულაჲ იქვე, სობიძირში გუუგორდა ცხვარიტყავზე და პაწაი წუუძინა კიდეც.

პაწაჲ მეთქი ვთქვი მარა,კარქა ხანს იძინა ზავალმა*.არ შუუტყია რაფერ დეჲწყო ქარიშხალი და ისიც,თუ რა მალე ჩამობნელდა.ალბათ თოვლის ბრალი იყო,თვარა,ასე ადრიელაჲ არნა დაღამებულიყო.კარის გაჯახუნებაზე სერსემივით* წამოხტა სობიძირიდან და ახათქუნებულ კარებს ეცა.გადახურვილში გეჲხედა და ახლა გაახსენდა გოდორი,კიდვენ კაჲ,რომ არ წაქცეულა ამ ყიამეთში.გოდორი წისქვილში შეჲტანა და ის იყო,კარებიცნა მეეხურა,რომ ახოსთან რაცხა შავი დეჲნახა გაგდებული.პაწაჲ დააკვირდა და მიხტა,რომ ზავალი ეფათუნებოდა,მარა ვერ დგებოდა ფეხზე. იფიქრა,ვინცხაჲს ხობო* იქნებაო და მგლის

სალუკმდ რომ არ დარჩენილიყო, წაშველება გადაწყვიტა.ჩქარ-ჩქარა წამეიბურა თავზე ჭილოფი და კარში გევდა. ქარი დაბეჩებულივით* ეცა ყიაში და კინაღამ ისიც ღელისკენ დააგორა.თავს ძლივაი იკავებდა ამფერ ამინდში ბაღანა,მარა მაინც მიიწევდა ზეიათკენ.ახლოს მისულმა დეინახა,რომ ხობოს რაცხა ჭრელი ქონდა თავზე წამოხურვილი.ალბათ ვირია და რაცხა ქონდა აკიდულიო.გეიფიქრა ბაღანამ და თოვლში გაკვეხილს თავზე დაადგა.ჭრელი ფარდაგი გადაწია და შიშისგან კინაღამ გუუსკდა გული.ვირი კი არა ხოჯა ეფენდის ქალაქელი ბადიში იყო თოვლში გაფშეკილი.ალბათ ჩემ მოსლამდე სული მიცაო,გეიფიქრა ბაღანამ და ცალი ხელით შეანჯღრია,თვარა აი წაკატაი გოგო იმფერი უჟმური ვინცხა იყო,რომ ცოცხალი თავით ვერ გაანძრევიებდა ვინმე მისთვინ ხელებს.ციცამ თავლები დაფახუნა,მარა ისე იყო გაყინული,თავიც ვერ აწია ზეიათ.გულამ გულში გეიფხუკუნა,ხომ ვიყარე შენზე აჯეღიო*,მარა მიხტა,ახლა ამის დრო არ არისო და გოგოს დეეწიკა,თოვლიდან ამოათრია და მერე დეინახა სისხლიანი თოვლი.თურმე ზავალს მხეცის ხაფანგში მოყოლია ფეხი და ამიზა გაჩხერილა ახოში.გულამ ფეხი უსულით* გუუთავისუფლა და მხარზე მეიკიდა აი გაწრეპილი* გოგო.წისქვილში ძლივაი შეიყვანა და სექვზე მიაწვინა.მერე კარი შიგნიდან დაკეტა დარაბებგახსნილ ფანჯარაში ჭრაქი დაანთო. ამ ადეთს ბაბუამ დააჩვია.როიცხა წისქვილში ითევდა ღამეს,ჭრაქს ფანჯარაში ტევდა მთელი ღამე ანთებულს,რომ სოფლიდან დეენახენ,რომ რამე არ ჭირდა და აგზენ იყო.

გულამ სობაზე წყალი შემოდგა და ციცას შორიდან დუუძახა.ოდის სითბო ესიამოვნა ეტყობა თოვლში გაფშეკილს* და მალე გამეიხედა თვალში.გულაის დანახვაზე მასაც უუვდა შუბლზე თავლები,მარა რანნა ექნა,დიდად არც ენაღლებოდა ეს ხაშარაი ბიჭი,ფეხის ტკივილი აწუხებდა ძალვან.

-წყალი თიბილია და თუ გინდა დეიბაი ფეხები.-უთხრა გულამ ჭეჭელას* და ფეხით მუუჩოჩა სექვთან ახლოს დასაბანი,თვითონ კი თავზე დეიბურა ლამაზად და გარეთ გევდა ღარში წყალის გასაშვებათ.ახლა რომ არ გეეშვა,ღამე ყინვას დააჭერდა და ტყვილაი დარჩებოდა ბაღანას ნახიზმეთარი*....

გარეთ გესულ გულას გულზე დერდები შემეესია.ღმერთია მოწამე,რომ ამჯერაი განგებ არ მუუწყია რამე ხოჯისთინ და მისი ბადიში შემთხვევით აღმოჩნდა მის წისქვილში.მარა,დუნიას დააჯერებდა კაცი? რანდა ექნა ბაღანას?ამფერ ყიამეთში* სოფლისკენ რომ წესულიყო ამბის მისატანად,ან ქარი გადაჩეხავდა კილდიდან ან დათვის და მგლის ლუკმა გახდებოდა,მარა არც წისქვილში ციცას ერთად ღამის გათევანა ყოფილიყო მართალი საქმე.აგზენ ხომ არ გაათევდა ღამეს? არადა,იმ წარაკვას ფეხი ნამეტურ გონჯად ქონდა ნატკენი.სოფლისკენ რომ წესულიყო და ციცაი ტაბასტისგან* დაცლილიყო, მერე რანნა ექნა?...ერთპირაი ისიც კი დააპირა,რომ მარხილზე მიეკოჭა და ისე წეეყვანა სოფლისკენ, მარა იმ წუთაი გედეიფიქრა,ასე ხომ უმფო ჩააგდებდა იმ ზავალს ხიფათში.

საგონებელში ჩავარდნილმა წისქვილს რაცხაფერ მუუწყო წყალი და ფეხითრევით ევდა ზეიათ.პაწაი კაი ამინდი რომ ყოფილიყო,შეიძლება ტალდაშიც* გეეთია ღამე და აქიდან ედარაჯა ავადყოფისთვინ,მარა ამფერ ქარბუქში რომ პაწაი კიდვენ დარჩენილიყო გარეთ,შეიძლება იქეთ გამხდარიყო მისახედნი.

გულამ უსულით* გააღო წისქვილის კარები და თავდახრილი შევდა სობით* კარქა გამთბარ ოდაში.ვითომც აქ არაფერიო,შედგა ჯორკოზე და სიმინდის გიდელივით ჯარაში ჩეიხედა,ზეიდან სიმინდი დაამატა და მხოლოდ ახლა გეიხედა ხატოიასკენ.ციცას იმფერი წამხდარი ფერი ქონდა, რომ შიშისგან ყბა გუუკავდა ბაღანას. ჩამოვდა ჯორკოიდან და ახლოიდან დახედა სექვზე მიწოლილ ჭეჭელას. ჯირკზე შემოდგმულ ფეხიდან ისვენ დიოდა სისხლი და სიმწრისგან იწირეხებოდა* ზავალი.ბაღანამ უცბათაი მეიფიქრა და ქიბილისთვინ გამოტანებული თეთრი მიტკლის თორბა* სასწრაფოდ დახია.ნახვარს ცხელი წყალი დაასხა და პაწაი რომ გაჯინჯიხდა,იმით სისხლიანი ფეხი მოწმინდა.მერე ეიღო მეორე ნაჭერი და ფეხი კოჭში კარქა ამუუხვია.პირველათ იყო გულაი ასე ახლოს გოგოსთან და ძალვან უჭირდა

გულში.არც ციცაᲥ იყო კარქ დღეში...პირი კედლისკენ მიებრუნებია და მჯიღით იწმენდდა სიმწრით გადმოღვარულ ცრემლებს.გულაᲥ რომ ხიზმეთებს მორჩა,-,,ხომ არ გინდა რამეო?“-კითხა ხოჯის ბადიშს.გოგომ თავი გააქნია ვარის ნიშნად მარა, მაინც წუუხსნა ნინველმა დიდნენეᲥს მიერ გამოკოჭვილ ფუთას თავი და ცივ-ცივი შეჭამანდი ამოალაგა ტაბლაზე.ცოტა ხნის მერე გულამ ენის ბორძიკით შეაპარა ციცას:

-თუ არ შეგეშინდება,სოფელში ჩევბენ და ხოჯა ეფენდის შენ ამბავ მუუტან, თვარა შეეშინდებიან შენებს.

-დედემ არ იცის,რომ ტაᲥაიდან წამოველ,ბაღნებმა ქილისეᲥს ამოყელვამდე* ამომყვენ და მერე უკან დუუყვენ დაღმართს.მე ქილისეს რომ გვერდი ვუქციე და თქვენი სოფლისკენ წამოსლა დავაპირე,დაღმართზე ჩავლის შემეშინდა.აქიდან წამოვეᲥ და აგზეც ბელაში გევები*,-წუუყურა* გოგომ პაწაზე* და მერე ჩქარ-ჩქარა მიაყოლა აფურთნილმა* -რაცხაფერნა* ავდგე და წევდეო....

ალბათ,ციცაᲥც იმაზენ დარდობდა,რაზეც ჩვენი ყაზახი.მათი ახალობა* ვერ გაამართლებდა ერთ თავანქვეშ* ღამის გათენებას.ხატოᲥს ნათქვამმა კიდვენ უფრო დააჯა გულაᲥ და ალაᲥ-მალაᲥ* უფუნგა* სადარდელი.

-ცავ,შენ რაცხაფერნა გუუძლო,მე ახლა სოფელში ჩევბენ და შენებ ამევყვან. არ შეგეშინდეს;აგზენ რომც დათვი მოვდეს,შიან მაინც ვერ შემოვა, იტრიალებს, იტრიალებს და წევა.

ხატოს ერთი კი გუუჭიხდა* თვალები სიხარულისგან,მარა ისვენ ჩუუქრა უცბათაᲥ ცეცხლი.-,,ვაᲥთუ,ჰადმენ გედეᲥჩეხა ამ ყიამეთში ან დათვი წამეწია,მაშინ რანნა იქნას,ხომ დეᲥღუპა აᲥ ზავალი ჩემი გულისთვინ?“-დაფიქრდა გოგო და ხმამაღლა უთხრა:

-არა,მასე არ იზამს,მეცნა წამოვდე!მაშინვე წამეᲥწია ზეზე და ის იყო,ფეხი დაადგა ძირში რომ იმფერი ყიამეთი ხმით დეᲥყვირა,შემფრთხალ შველივით გაქანდა გულაᲥ.კიდვენ კაᲥ,ხელი წააშველა ციცას,თვარა პირდაპირ სობაზე დეეშხვერთებოდა* მოწეწილი. გოგო რაცხაფერ უკან მიაწვინა მარა, ფეხზე მოხვევლი ნაჭრებიდან იმფრათ ითქრიალა სისხლმა,რომ კინაღამ გული წუუვდა გულას.. -,,არნა ამდგარიყო აᲥ დასაქორებელი* ფეხზე!-ჰაᲥდან გედემეკიდა ჩემს საბელაოდ? ჯერ დედემისმა* ამომიყვანა სული ყიაში,მერე ამან.ამისთვინ რაფერნა წაასაკლო თავი კაცმა და გარში გეხვიდე ამფერ ყიამეთში?“-გაბრაზებული ფიქრობდა ბაღანა და ზურგ უკან ნერვებზე აყოლილი თითებს იფშვნეტდა.-,,შეეჭამა ნეტაᲥ დათვს, ძვალიც კი არ დარჩებოდა ამისგან...არა,აგინა დარჩეს ამ სითბოში და მენა ვეყუდო ღობე-ყორეში?თუ ცოცხლათაᲥ ჩევეᲥ სოფელში,ხომ კაᲥ,მარა, მერე რაფერნა დააჯერო ი ამოსაგდები ხოჯა,რომ კაᲥს მეტი რამე არ გიგიკეთებია მისი გაწრიპული ქალაქელი ბადიშისთვინ?ვინმე იმერი მაინც ყოფილიყო მის ადგილზე,რომ თავის წახდენა* არ შებრალებოდა კაცს...“ დერდობდა მისთათვინაᲥ გულაᲥ და ბუჯაღში მიმწყვდეული თაგვივით ეხეთქებოდა იქეთ-აქეთ.

ჰადმენ-არსად;
სექვი-ტახტის მაგვარი;
ნაქილისევი-ნაეკლესიარი;
სასრიპინო-სასრიალო;
დელი-დულაᲥ-ცელქი;
გამშპარიყო ქეიფში-ფიგ.გამ. გაერთო და ა.შ.;
ჩაფუნჩხილი-ჩაყრილი;

გაჯინჯიხებული-არც ცხელი და არც გრილი...აქ გაგრილებული;
საფშაკუნოდ-უშედეგოდ მუშაკობა;
ჰავლი-დერეფანი;
სანარწყალი-ბოსლის იატაკის შუა ნაწილი,სადაც გროვდება პირუტყვის განავალი.
მეიბღუნკა-მოიხარა;
ᲘᲐᲘᲚᲐ-ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲥᲝᲮᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲘᲐᲚᲐᲦᲔᲑᲖᲔ;
ზოვლი-მოხერხებული;
ჩინგნობა-სიჩელქე;
ყიბლე-სამხრეთით(თურქ);
სობა-ღუმელი;
ზავალი-საცოდავი;
სერსემი-გიჟი;
ხობო-ხბო;
დაბეჩებული-შეშინებულივით;
აჯეღის ყრა-შურისძიება;
უსულით-ფრთხილად;
გაწრეპილი-გამხდარი;
გაფშეკილი-გაყინული;
ჭეჭელა-ქალის სახელი(აჭარულად ქვია ლამაზს);
ნახიზმეტარი-ნამუშაკარი.
ყიამეთში-ცუდ ამინდში;
წარაკვა-ენამწარე,აუტანელი და მისთ.;
ტაბასტა-სისხლდენა;
ზავალს-აქ საცოდავს;
ტალდა-საფასადო მხარეს პატარა გადახურული;
უსულით-ფრთხილად;
სობით-ღუმელით(თურქ.);
იწირეხებოდა-იკრუნჩხებოდა;
ტაბასტა-სისხლდენა;
თორბა-ფქვილის ტომარა;
აყელვა-ვაკეზე გასვლა,აღმართისგან თავის დაღწევა;
ბელაში გაბმა-ფიგ.გამ.პრობლემებში ჩავარდნა და ა.შ.;
წუუყურა-დადუმდა;
პაწაზე-მცირედით;
აფურთნილი-აფორიაქებული;
რაცხაფერნა-როგორღაც;
ახალალობა-ახალგაზრდობა,სიყრმე;
თავანქვეშ-ჭერქვეშ;
ალაᲐ-მალაᲐ-მთლად,სავსებით,სულ და ა.შ.;
უფუნგა-აუწეწა;
გუუჭიხდა-გაუბრწყინდა;
დეეშხვერთებოდა-დაეცემოდა;
დასაქორებელი-დასაბრმავებელი*
დედემისი-ბაბუამისი;
სული ამომიყვანა ყიაში-ფიგ.გამ.თავი მომაბეზრა;
თავის წახდენა-თავის გაფუჭება;

www.Litklubi.ge

რ ე ჯ ე ბ ა ლ ა

ბოლოს მაინც წასლა დააპირა.ჩეიცვა და ის იყო,გარეთნა გესულიყო,რომ კარეთან ფეხების ბრაგა-ბრუგი შემეეყურა.ციცაი იმფერი დაფრთხა,დიდვან-დიდვანი კურცხლები გადმოყარა თვალებიდან.ალბათ ეგონა დათვი მოგვადგაო კარზე... გულას კი თვალ-პირი უცბათაი ამუუსინათდა,მიხტა, ვინც იქნებოდა გარეთ და კარებს ემგერა.კარში დაღლილი დედეი იდგა კომბალაითთ ხელში.ბერი შევდა გამთბარ წისქვილში და ის იყო,დაღლილი სექვზენა წამოგორებულიყო, რომ კინაღამ თავიდუდზე* უუშპა თვალები.კარქა დააკვირდა ციცას და როიცხა ტაბასტიან ფეხს მოკრა თვალი,ჩქარ-ჩქარა მეიძრო ბაშლუღი* და გულას იჭვიანი თვალებით დეებუცა*.

-ვისია აი ციცაი?-იკითხა რეჯებალამ და თან ჯორკო მიიჩოჩა ბაღნისკენ.

-ხოჯა ეფენდის ბადიშია,დედე. ქალაქელი ციცაი რომ იყო ამ ზაფხულ თაზე* ამოსული,ხომ გახსოვს?ა,ის.-უთხრა გაბღეზებული* ხმით ბაღანამ და ნამეტნავად გონჯად შუუბღვირა სექვზე წამომწოლილს,რათა მიმხტარიყო ი ვირიგაგდებული* ,რომ ჯერ კიდევ ახსოვდა მისი ბრექვა* და ავენვანობა*.

გულაის თვალწინ გეიბინა უცბათაი იმ დღემ,აი ძუნკალი* ციცაი რომ ამეეყუდა სოფელში. ვითომ ხოჯის ბადიში ერქვა,არადა იმფერი ახტაჯანაი ვინცხა იყო, სოფლის ბიჭებ გუუსწრა იბრეთების კეთებაში. ჯერ იყოდა,-,,ნარებში მენდილი დავკარგეო“- და ქალაქელ ციცაზე დახიზმეთებული ყაზირლები ბეჩებივით* დეეფუთენ ყირმიზ მანდილს,რომელიც სკიდან მიწაზე გადმოგორებულ ფუტკრის ხუხულაზე წეეფარებია განგებაი...იმ დღეს იმფერ დღეში ჩავარდენ ბიჭები,რომ მეორე* დღეს ვინმემ ვეღარ გამეიმზიგულა* გარეთ, იმფრათ ქონდენ სახე გაკაიპებული ფუტკრებისგან დანესტრილებს.ეს ამბავი გუუტარეს და მერმენ* ხოჯის ეზოქვეშ ქორწილისთვინ გამოწკიპულ ბიჭებს,ზეიდან ქიბილის თორბა გადააფერთხა თავზე. აგი არ აკმარა და გზაზე,ჰაცხან ქორწილისკენ მიმავალ ბიჭებსნა გეევლენ,ურმის გორძღოიდან* ამოღებული ფუნით* მოსვარა ყოლიმფერი; ვინმეს რომ ვერ შეემჩნია ფეხის ჩაბიჯებამდე,ზეიდან ნაცარაი და ბალახ-ბულახაიც მიმოაპნია ლამაზად...აი,რა იყო?ამ ციცამ იმფერები აკეთა ამ ზაფხულ,რომ დუნიაზე სახელ გავარდნილმა ჩინგანმა,ჩვენმა გულამაც მოკაკვა თითი.

იხსენებდა ყოლიმფერს ბაღანა და აჯეღისყრის იშტაღით შეპყრობილს* ვერ მეეფიქრებია რანნა ეზამა.*

რეჯებალამ ცალითვალით გადახედა ბადიშს და მისი გამწარებული სიფათი რომ დეინახა,მიხტა,რაზე ბდღვინავდა ბაღანა.მარა, ახლა ამის დრო არ იყო და გულას ცხელი წყლის მოტანა უბრძანა.ბაღანამ სობიდან გადმოდგა გუგუმი* და ბერს დუუდგა ფეხებთან.დედემ თავანში გამოკოჭვილი თორბა ჩამოხსნა და იქიდან ამორჩეულ ბალახ-ბულახი მოკალულ სინზე დაყარა და ზეიდან მდუღარე წყალი დაასხა.სანამ ბალახი გაჯინჯიხდებოდა,ხელები დეიბანა და ციცას ფეხზე შეხვევლი შეხსნა.ჭრილობამ ძალვან დააჯა მოხუცი და ჩქარ-ჩქარა დეიწყო მისი გასუფთავება. მერე გაჯინჯიხებული ბალახიანი წყალით ჩამობანა ფეხი და სანამ ჯერ კიდევ თიბილი იყო ბალახები,ზეიდან დაადვა,ჩქარ-ჩქარა შეახვია და ღაზლის წინდა წამოაცვა.ხატოს პაწაი კი ეტკინა,მარა ცოტა ხანში გუუარა ტკივილმა და თანდათან ჩათლიმა.

ციცას რომ დეეძინა,მერე კითხა მისი ხებერი დედემ ბადიშს.უსმენდა ბაღანას ბერი და გულზე ბაღივით* ედებოდა ბაღნის მონაყოლი.-,,რაფერ გემეზარდა ბაღანა,არც რომ არ წამოვსულიყავ და ამფერ ზორში* დემეტია მისთათვინაი ზავალი. უყურე ერთი ამ ცხვირმუუხოცველს,რაფერ სწორად უფიქრია და წინ-წინ გუუყურია*.
მართლა, რანნა მექნა მერე,აქ რომ ერთად დარჩენილიყვენ,ხომ წუუხსნიდა თავს მემლექეთი სალაპარიკოს და მერე რასნა დეებსო იმათი ყია?*.არადა,იმხელვანი რომ ყოფილიყვენ,გელინად

დემესვა,კიდვენ რა მიჭირდა,ამაზე კაქრ გვარიშვილს და ლამაზ ციცას დუნიაზე ვერ მეიძევდა კაცი,მარა აგენი ჯერ ნამეტნავად პაწვანები იყვენ ამ საქმისთვინ.არანდარა,რომ არ მემესწრო და ამ ყიამეთში სოფლისკენ წამოსულიყო ბაღანა,ხომ დევღუპვიდი თავს?“- იმის წამოდგენაზეც კი გააზორზოლა* ბერს,ახლა რაფერ დღეში იქნებოდა მისი ერთი კაკალაჲ ბადიში დათვების და მგლების შემყურე დაკიდულ ტყე-ღრეში...

-გულავ,დიმიყურე ბაბი!-უთხრა ბაღანას დედემ და ციცაჲსკენ გააპარა ცალი თვალი,ხომ არ მისმენსო.-აი,ბაღანა ნამენტავად დიდ ზორშია,თუ ახლავენ არ წევყვაჲთ სოფელში,დილამდე შეჲძლება ვეღარც გაატანოს;შრატშინა იშუშვოს ამან ფეხი,პაწაჲ რომ გამოკეთდეს,მერე ბებიაშენის გაკეთებულ წამალს მივცემთ მის პატრონს და მალე მოკეთდება... გევჭირვოთნა და რაცხაფერ სოფელში და წევდეთ ახლავენ.

ბადიშმა ერთი კი შეხედა დაყლეპილი* თვალებით დედეს,მარა მიხდა,რომ ბერი არ ცდებოდა და სიტყვა აღარ შუუბრუნა.მარტო ის კითხა,-,,რაფერნა წევყვანოთო“.დედემ რამე არ უპასუხა და ძლივს-ძლივობით ფეხზე წამოდგა.მუხლი გამართა და წისქვილიდან სიტყვის უთქმელი გევდა.ცოტა ხანში გულას თავნიდან ფხაკუნი შემეესმა.დედემ წისქვილში თივის გოგორა* შემოათრია და ბადიშს უთხრა:

-სანამ მე ღარიდან წყალს გადავაგდებ,შენ ქიბილი ჯვალოში ჩაყარე,რომ სანამ მაგის წასაღებად ამოვალთ,თაგვმა არ ირბინოს ზეჲდან.

-აჲ მარხილი რათ გინდა დედევ,აჲ გომბიო* ხომ არნა მათრევიო ამ ტყე-ღრეში?- ბერმა წეჲყრუვა ბაღნის ნათქვავი და წისქვილიდან გევდა.-,,ამის თრევას შეშა ვათრიო ტყიდან ის მირჩევნია,სობას მაინც შუუგრძნებს კაცი“-ციცაჲს გასაგონად ხმამაღლა თქვა გულამ,თვარა*,აბა,გარეთ იმფერი ყიამეთი იყო,ყურშიც რომ ჩეეყვირა ბერისთვის,მაინც ვერ გააგონებდა ახლა...

ბერის ამოსლამდე მოამცრია ჯვალოში ასტამით ქიბილი ბაღანამ და დიდი წვალებით თავანში გამოკიდა,მერე წისქვილის ჯარას თავზე გაახურა თაგვი რომ არ ჩავარდნილიყო შიან და დიდი კაცივით დოინჯი შემეჲყარა წელზე.ციცას გახედა და მერე კედელზე აყუდებული გოგორა წამოაქცია ძირში.ქვეჲდან საბელები ამოაბა და თავანიდან ჩამოყრილი თივა კარქა ბლომად დაადვა ზეჲდან .ამასობაში ბერის შემოვდა ოდაში.ხელები წეითბო სობაზე და მერე იქიდან მაშით ნაკვერჩხლები გადმოყარა.თუნუქის ნაჭერზე დაყრილი ნაცეცხლური კარში გეჲტანა და რაფერს ,,ლაზარობიაჲს“ დროს აკეთებდა მისი ხანუმი,გარეთ გადაყარა და თან მიაძახა:

,,-ლაზარიაი მუადგა კარსა,
აღარღალებს თავსა...
ეხვეწება ღმერთსა:
-ღმერთო,მოგვე ზე და თვარე,
შიგვინახე წვიმა-წყალი“

უკან შემობრუნებული ციცასთან ახლო მივდა და შუბზე ხელი დაადვა. ეტყობოდა,რომ მალე ხურვებანა* დაწყებოდა ბაღანაც და ჩქარ-ჩქარა გააღვიძა. უსულით* ჯორკოზე გადმოაჯდუმლა* და ბადიშს ქვეშაგებების თივაზე დაფენა უბრძანა. გულამ დედეჲს ნათქვამი რომ გააკეთა,მერე ციცაჲ უსულით დააწვინეს, ზეჲდან ლამაზად დააბურეს და კარქა მიაკოჭეს საბელებით გოგორაზე. ბიჭმა გოგორა კარებისკენ გაათრია და ტალდაში გეჲტანა. დედემ კი დიდი კვარი გამოაძო თავანიდან და ცეცხლი მუუკიდა,მერე მაგრად მიბიქსა* კარი და გოგორაჲს საბელი წელზე გამეჲბა.გულაჲ უკნიდან ჩუუდგა და რაცხა ძალი და ღონე ქონდა,ზეჲთკენ მიაწვა.

ბაშლუღი-ყაბალახი.
დეებუცა-დააკვირდა;
ვირიგაგდებული-სალანძღავი მიმართვა;
გაბღეზებული-გაბრაზებული;
თაზე-საზაფხულო იალაღებზე ყოფნის დრო აჭარაში;
ბრექვა-ამპარტავნობა;
ავენვანობა-ავ ენიანობა;
ზუნკალი-სალანძღავი სიტყვა;
დახიზმეთებული-დასაქმებული ანუ ამით დაკავებული;
ყაზირალი-ახალგაზრდა ბიჭები;
ბეჩებივით-აბდლებივით;
მევრე-მეორე;
გამომზიგულება-მზეზე გამოსვლა;
მერმენ-შემდგომში;
მისთვინ-მისთვის;
გამოწკიპულ-აქ ჩაცმულ-დახურულ;
გორძღო-ურემზე დასადგმელი ზარი,რომლითაც ჩვეულებრივ ნეხვი გადააქვთ ყანაში.
ფუნა-ნეხვი*;
აჯეღისყრის იშტაღით შეპყრობილი-შურისძიების მოშურნე(თურქ.);
ეზამა-ექნა;
გუგუმი-სპილენძის ჭურწჭელი;
ჟაღი-აწარული კარაქი;
ზორში*-გაჭირვებაში;
გუუყურია-გაუხედავს;
დეებსო ყია-აევსო ყელი ანუ გაეჩუმებინა;
მეიძევდა-იპოვიდა;
გააზორზოლა-გააკანკალა;
დაყლეპილი-გაფართოებული;
გოგორა-მარხილი;
გომბიო-გოგო დამცირებით;
თვარა-თორემ;
ხურვება-ციებ-ცხელება;
უსულით-ფრთხილად;
გადმოაჯდუმლა-გადმოსვა;
მიბიქსა-მიხურა;

ქ ი ლ ი ს ე

რეჯებალამ მოკლეადან წასლას ზეადან მოვლა არჩია.ქვეადან რომ ღელე-ღელე წესულიყვენ,კი მივდოდენ მალე,მარა იმფერი იბრეთი კილდეები და გეარენ რომ, ამფერ ქარბუქში არ უშანდა შეადთანს თვალი* და ჰად გადაყრიდა ბაღან-ბუღნიანა ღმერთმა არ იცოდა.ზეადან კი ქილისეას ეზოში ევდოდა და იქიდან დეეეშვებოდა დაბლისკენ.დაბლიკენ დაშვებას,თუნდაც იმფერ გასრიპინებულზე არ ჩივოდა ბერი,რაფერც ამ გოგორაას ათრევას ქილისემდე.აქედან თოვლი უბაწრავდა გზას, იქედან ქარიშხალი.თან ისე ბნელოდა,აა კვარი რომ ჩამქრალიყო უცბათაა, თვალთან მიტანილ თითს ვერ დეანახავდა კაცი.

აღმართი რომ ამეჲყელეს* ნაძვიძირში წამოგორდენ დაღლილები.გულამ მიმოავლო თვალი ქილისეჲს ალიგს* და დედეს დეიკითხა:

-ბევჯელ მინდოდა მეკითხნა,მარა ვერ გიბედავდი.ახლა კი აგზენ ვართ და გკითხონა:როჲცხა სოფლიდან ქილისეჲსკენ ვიბუცვი*,მეჩვენება,რომ აჲ ალიგი ღამეშიც გამობაინებულია*.ასე რაზე ხდება დედევ?

ბაღანაჲს კითხვა მჯიღივით მოხდა გულზე ბერს და აჯიღი* შეყარა.მერე თანდათან სიმწრით ჩამარხული დერდები უუფუნგა გულში და სიმწრისგან დაწირეხა.ძალვან ძნელი იყო ახლა მისთვინ ამაზე ლაპარიკი.არანდარა, მოტყვილებას ღმერთი არ აპატიებდა ქილისეჲს ეზოში ბადიშის წინაშე დაყუდებულ ბერს.რამე არ უთქმია,ისე დუუგდო ყური გულში დერდებივით აბურხალებულ ქარს და ცრემლიანი თვალებით მიაშტერდა ქილისეჲს ეზოში კენჭებივით მიმობნეულ გორხულო ქვიებს.უცბათაჲ ალაპარიკდა ბერი:

- ჩემი დიდნენეჲ იტყოდა: თათრები რომ შემოსევია ჩვენ სოფელს, პირველად აგზენ ამოსულან.რამეჲთ რომ ვერ გამკლავებიან ქილისეჲს კედლებს, სამების გორაზე ესულან და იქ დუუწყიან კილდეების მტრევა.ზეჲდან დაგორებული ლოდებითნა დეენგიენ ქილისე თურმე.ბევრი უწვალიან,მარა იმდენი თათარი მუუყოლია ზეჲდან დაგორებულ ქვიებს,რომ ბოლოს თავი დუუნებებიან.მარა იცი რა ყოფილა ყველაზე საკვირველი? ამდენი დაგორებული ქორხულო ქვიებიდან არც ერთი დაჯახებია თურმე ქილისეს,არანდარა,ერთიც საკმარისი იქნებოდა ძველი კედლების დასანგრევად. იმ ღამეს იმფერი გამობაინებული ყოფილა ქილისეჲს ალეგი,რომ ხალხს შეშინებია,ცეცხლი ხომ არ წუუკიდესო იქავრობას.თათრები რომ წესულან, მტელი სოფელი ამომსკდარა აქეთკენ და კედელგუუქანებელი ქილისე რომ დუუნახიან,კაციან-ქალიანა დავარდნილა მუხლებზე და მთელი დღე უტირიან აგზენ.მას მერე ბევრი დრო გევდა.ჩვენებიდან ვინმე აღარ დარჩა ქილისეში ამომსლელი და მომლოცველი,მარა ერთი ადეთი მაინც შევტიეთ და თუ ვინმე არ გვიყურებს, გორხულო ქვების წინ ვიმუხლვით და უბეში გადანახულ სანთლებს ვანთებთ ძველებივით...

ბერის მონაყოლს გულისყურით უსმენდა გოგორაზე მიკოჭვილი ხოჯის ბადიში და გულში იცრემლებოდა. ბევრჯელ წამუუკრია ყური მისი დედეჲს მონაყოლისთვინ ხატოსაც. კარქა ახსოვდა ბაღანას ის დღე,როცა არ მეეშვა ხოჯას და კისერზე დაკიდული თხოვდა:- ,,იმიხსენ,ხატოჲ რაზე დამარქვიო...“ რამეჲთ რომ ვერ მუუცილებია ბაღანა დედეს,კისერზე შემუუსმია და ვინმეს რომ არ დეენახა,გაღმა მხრიდან ამუუყვანია ამ ეზოში.-,,აგზენ დიმიცაჲო!“-უთქმია ბაღნისთვინ და ქილისეჲს უკნიდან დამალული კილტე მუუტანია.დიდხანს უჯახირია თურმე ჩაჟანგვილი ბოყვის* გასახსნელად და ბოლოს მაინც გუუხსნია.შესასლელში მუხლი მუუყრია,ხელით გულმკერდზე რაცხაები მისთავინაჲ მუუხატვია და მიწაზე შუბლმიდებული,დაყუყვილი* გაჩერებულა პაწა ხანს.მერე ფეხზე წამომდგარა, ქალამნები წუუხდია და ბაღნის ერთად შიან შესულა.ახლაც ახსოვს ხატოს,რაფერ გადმოკარკლა დედემისმა ქილისეში ცრემლები...მერე ბაღანა უუწევია ხელში და კედელზე მიხატული ლამაზი ქალისწინ დუუყენებია.დიდხანს მდგარან ასე...მერე დედეს უთქმია:-,, ამ ხატივით ლამაზი გაქ თვალები და იმიტომ დაგარქვი ხატოჲო“. -მეტი რამენ აღარ უთქმია.ფეხაკრეფით გამოსულან უკან და ისევ საგულდაგულოდ მუუკეტიან ქილისეჲს კარები.-,,აჲ ამბავი ვინმეს არნა მუუყვეო.“- წუუჩურჩულა ბაღანას თურმე ბერმა და ალთუნივით*კუულულებზე მიეფერა.- ,,არაო!“- დაპირებია ისიც...სახში ჩასლამდე ჩაძინებია ბაღანას და როჲცხა გამოღვიძებია,მარტო შუუმწყრევია დედეჲ და ყურში უთქმია:-,,კიდვენ ხომ წიმიყვან მერეო?“- ,,ყველაფერი დეგესიზმრავო“,- უთქმია მაშინ დედეს და ბაღანასაც დუუჯერია .აქამდე ჯეროდა თურმე... ახლა კი მიხდა,რომ ყველაფერი ნამდვილად მოხტა და იმფეერი გახარებია, რომ ფეხის ტკივილი სულ მთლად დავიწყებია ზავალს...

ქილისე დვიბეჲს* ალაგზენ იყო აშენებული და აქ რომ ამფრად იქცეოდა დუნია,ქვეითკენ რა ხდებოდა,მისთათვინაჲცნა მიმხდარიყო კაცი.ის იყო წასლა დააპირეს,რომ ქარმა ნაძვიდან ბლომად ბირტყი* ჩამობერტყა და ზეჲდან დააყარა გაკოჭვილ ციცას.გულას

შეეშინდა არ გეჲგუდოსო ხოჯის ბადიში და გოგორასთან დეიმუხლა.ჩქარ-ჩქარა გუდუუყარა სახიდან თოვლი და ის იყო, სახეზე მიეცაცუნა უცბათაჲ, რომ იმფერმა ხორშაკმა* დუუარა ნამსხვანში* , გლიშამ* ყოლიმფერი გუუნათა ყაზირალს. მუგუზალივით უჭიხდა თვალები გოგოს.იმფერი ლამაზი სახე-პირი მუუჩანდა კვარიშუქზე,რომ ტირილი მუუნდა გულას...მისხალაჲ ხანი გესულიყო მას მერე,რაც ზეჲდან დაყუდებული დაბუცებოდა ციცას და ეგონა ასი წელი აგზენ ვდგავარო.ჭკვააყრილი იდგა მუხლებზე და ნასობარივით უხურდა ციცაჲს ლოყებზე მიცაცუნებული თითები... -,,აბა,დევძარითო!“-დეჲზახა დედემ და გოგორა მოქაჩა.ვითომ ხელებიდან ააართვეს ხატოჲ,იმფერად დეეწვა ჯიგარი ბაღნას და სიმწრისგან ამეჲღმუვლა. მარა,კიდვენ კაჲ,ამ ყიამეთში ვინმემ ვერ შეჲყურა მისი ბღორინი...

ქილისეჲს დაღმართზე ნაძვზე მიაბა საბელი რეჯებალამ და ხოხვა-ხოხვით დუუყვა დაღმართს.ზურგით აკავებდა ბერი გოგორას და ისე მიყავდა ბაღნები. რაცხაფერ იყო ჩაათავეს აჲ დასაწვავი აღმართი და გუუყვენ სოფლის გზას.წელზე თოვლს მიწარბავდა* ბერი და ბუკათაჲ* მიბაჯბაჯებდა. ხოჯის სახლი ცოტა გაღმაში იყო და ამიტომაც ეჲღო გეზი მისი სახლისკენ.ყადიოღლი დაუთაჲს სარკმელში გვიანი ჭრაქი დეჲნახა რეჯებალამ და დაუთას დუუზახა.დაუთაჲმ იმწამალაჲ* გამეჲხედა და რაცხაფერ მოაღწია ამათამდე.რეჯებალამ ხოჯისთვინ ამბის მიტანა დაავალა და ჩქარ-ჩქარა გუუყვა სახლისკენ.მაინც მის ხანუმსნა ეაქიმა ამ ციცაჲსთვინ, თვარა,დაუთასთნაც შეიძლებოდა ავადყოფის მიყვანა.

არ უშანდა შეჲთანს თვალი-ფიგ.გამონათქ. არავინ უწყოდა,სად დაეგო ეშმაკს მახე;
ამეჲყელეს- აათავეს;
ალიგი*-ალაგი;
ვიბუცვი-დაკვირვებით ვიყურები;
გამობაინებულია-გამონათებულია;
აჯიღი-ჯავრი,მწუხარება;
გორხულო ქვიები-დიდი ქვები,ლოდები.
ბოყვი-ბოქლომი,კლიტე;
ალთუნი-ოქრო(თურქ.);
დაყუყვილი-მუხლმოყრილი;
დვიბე-მთის ხეობიანი ფერდი,რომელსაც ქარი არ უდგება;
ბირტყი-ხიდან ჩამოცვენილი თოვლის ფიფქი;
ხორშაკი-თბილი ქარი;
ნამსხვანი-სხეული;
გლიშამ-ირგვლივ;
წაღმართი-ვაკე,სწორი ადგილი;
მიწარბავდა-კვალავდა;
ბუკათაჲ-ზმნზ.უთხილამუროდ სიარული;
იმწამალაჲ-მაშინვე;

ს ოფ ე ლ ი

იმ ყიამეთი ღამის მერე ბევრმა წყალმა ჩამეჟარა.

ხენიფე ხანუმის ბალახ-ბულახითა და ხოჯის ლოცვა-შედუმანებით ციცამ მალე მეიხედა თვალში. დუნია* მომკიტხველი ყავდა ხოჯის ბადიშს,მარა იმათგან ცოტას თუ ეჯერა უწვერ-ულვაშო ბღაშტის*ამფერი ნამოქმედარი. სხვებმა თუ არა, ხოჯამ ხომ მაინც იცოდა, რა უვარგისი და ეშმაკზე წინ გამშპარი* იყო ეს ხაშარივით აყრილი ბაგანა. მარა, მადლობის თქმის მეტი რა დარჩენოდა ხოჯას და ისიც ღმერთსა და რეჯებალას ერთად ადიდებდა თავანისკენ* ხელებ აწეწილი.

ეს ციცაჟ ყველა ბადიშში გამორჩეული ყავდა ხოჯას,რადგან მისი სიბერის გარგნის* ერთადერთი ბაღანა იყო იგი.ჯანოჟს ხებრის დღემდე არაფერი იცოდა ხოჯამ.ქორწილიდან რამდენიმე თვეში წესულა თურქეთისკენ გზის გასაკვალად ზავალი*და უკან აღარ დაბრუნებულა.ჰადმეჟდან არ მოსულა ავის თუ კარგის ამბავი.გელინმა რომ ბაღვი* იშვა, ძუძუჟს წვებამდე აცალეს და მერმენ ისე წეჟყვანეს ქალი მიასიანებმა ,რომ ვინმეჟსთვინ რამე არ უკითხიან.გაგულისებული ხოჯა დიდხანს არ ანახვებდა დედას ბაღანას მარა,მას მერე,რაც ის ქალი ქალაქში გათხოვდა და იქავრი დიდი ხოჯის გელინი გახდა,ბაღნის ნახვა ვეღარ დუუშალა ალაჰის შიშით.

ქალმა რომ ბაღნის ნახვას პაწაჟ მუუხშირა,ამით შეწუხებულმა კაცისიანებმა*დიდი ამალით ამოაკითხეს ხოჯა ეფენდის და ციცაჟს დედასთან ერთად ქალაქში გაშვება თხვეს.ბევრი იფიქრა ხოჯამ და მიხტა, რომ უმამო ციცაჟსთვინ უდედობის დამატება არ იყო კაჟ საქმე,თან იქ უფრო მეტს დეჟნახავდა და დეჟსტავლიდა ბაღვი.ჰოდა რაცხაფერ გეჟჭირვა და უბიძირში უსულით* გამოძრდილი ბაღვი ქალაქისკენ გეჟსტუმრა.

ქალაქში რომ წეჟყვანეს ციცაჟ,მაშინ სამი-ოთხი წლისა იყო.ყოველ ზაფხულ ამოყავდენ გაღმა სოფელში მცხოვრებ ტაჟაებს* ბაღანა მამის ოჯახში.ამ წელიწადს კი ხოჯის დაჟინებული თხოვნით დატიეს ციცაჟ სოფელში.აბა რანნა ექნა კაცს,როჟცხა მისი თვალი კაკლებით ხედვიდა თუ რაფრათ აცუნდრუკებულიყო მისი ჯანოჟს ერთი კაკალაჟ ბაღანა.უცბათაჟ რომ სახლში დაბრუნებულიყო მისი ბიჭი და ამფერი ქალაბიჭაჟ გოგო დეენახა,მერე რაფერნა გეესწორებია შვილისთინ თვალი?რაფერნა ეეხსნა რომ ერთი ბღაშტი ვერ გიგიზარდე შენი საკადრისიო.თან ნაგელინვარს უკვე მისი იქავრი კირკლები* ყავდა შემოხვევლი და ეშინოდა კაცს,ვაჟ,თუ თვალი ან ხელი მიაკდეს ჩემს ციცასო...

მარა,,,ყეზას თვალი არ უჩანსო''ამა ქვია ზუსტად.აგზენ ამოყვანილი ბაღნიდან კინაღამ არ დეჟბანა ხელი კაცმა?ეხ,გელინის ცოდვამ მიწიაო იფიქრა ხოჯამ და გამოზაფხულებულზე მისი ხელით ჩუუყვანა ციცაჟ დედამისს და ბაღანასთან ერთად სულის თან დუუტია.

* * *

ეს ამბავი მალე დეჟვიწყა სოფელმა.

გუნდრუცით* მიზოზინებდა დღეეები.

სოფლელებს ამ დუხჭირ დროში რა გამუულევდა საფიქრალსა და სახიზმეთარს. ამას ისიც ემატებოდა რომ ხალხი ორ წყალს შუა იდგა.ვერ გეედეწყვიტენ მუხაჯირობისას სხვების ჭკვას აყოლოდნენ და კაი ცხოვრების ძებნაში თურქეთისკენ აყრილიყვენ თუ რუსების იმედით აქ დარჩენილიყვენ...ვინცხაჟ ადგა და წევდა,ბევრმა თავი წააგო,მარა არც აქ დარჩენილები იყვენ კაჟ დღეში.იმფერები, ვინცხას პაწაჟ ჭკვა მეეკითხებოდა, ცოცხალი თავით არ უნდოდენ თურქეთში წასლა.რუსების ჩუმათაჟ ღამ-ღამობით აქა- იქ მეიკუჭვებოდნენ* და ფიშმანობდნენ*. ზოგი ამბობდა რომ ,,ძლივაჟ გევმართევით წელში და დევხსენით თავი და ახლა რაფერნა ადგე კაცი და უკან დუუბრუნდე თურქებსო?ამდენი წლის მერე ხალხმა პაწაი თვალში მეიხედა,კაცს

სახეზე ღიმილი დეეტყო იმდენი გამოლომპრველი* ჟამის მერეო.’’,მარა იქვე მეორე თლიდა*რუსების მიერ შეწერილ გადასახადებს,რომელიც კინაღამ მოსავალზე მეტი იყო პაწაჲ თუ არა.ისევ თავის იმედიდა ქონებოდენ მარა, ცარიელი ხელით და მუცლით რანნა ექნენ და რაფერ,ეს ვერ გედეეწყვიტენ.ყველამ იცოდა,რომ ვერც რუსის და მითუმეტეს,ვერც თურქის ხელში კაი დღე არ დაათენდებოდათ, მარა მაინც ამ ორს შორის არჩევდნენ მტყუან-მართალს,რადგან მათ თავიბაშს,დედა სამშობლოჲს დიდვან კაცებს მათთვინ ვერ მიეხედათ და აგენისთვინ რანნა ექნენ ნეტაჲ?

ამდენ ფიშმანში და დერდში ბევრი ოჯახი ეჲყარა სოფლიდან და წევდა მუუსლელში. არც იგენს მოსწრიან კაჲ დღე,ვინცხამაც აქ დარჩენა გადაწყვიტაამ ოკო-ბოკო* ყოფაში ზოგი იმფრათ დეიფსო,რომ მის ნასახლარზე ნარი აყვავილდა,ზოგი კი ისე მეერგო დუნიას რომ უცბათაჲ ორკარაჲ* გახდა.ბევრჯერ აბურხალა ბედმა აღმა-დაღმა ხალხი და ბოლოს მისთათვინაჲ დაკერწეხდა* ყოლიმფერი. ამდენმა ჯახირმა ზოგს სიმწრით დაახჩემვია* კბილები,ზოგს კი სიბეჩით და ასე არბენია დუნიაზე.
გულზე ციციელდაცემული* ხალხი მაინც იდგა შვაგაყოფილ ცხემლასავით და აგრძელებდა ჭიჭვეტაჲ* ცხოვრების ჭიტინაში ბუცვას...*

ამ ყიამეთში რეჯებალაჲ,ყადიოღლი დაუთაჲ, ხოჯა ეფენდი და კიდვენ რამდენიმე შემლებული ოჯახი სოფელში დუშმნის ჯინაზე იჭიპრვოდენ და ძველებურად გაქონდენ თავი.ხოჯის ბადიში იმ ზამთრის მერე სოფელში აღარ დაბრუნებულა, რეჯებალაჲს გულაჲ კი სოფელში ამოსულ ნაკითხ კაცებს ეეკიდა და სასტავლებლად გიმნაზიაში წევდა.რეჯებალაჲ და ხოჯა ეფენდი წელიწადში ორჯერ მიდიოდნენ ქვეჲთკენ ბადიშებზე თვალის გადასავლებლად.იმ ზამთრის მერე,რაც გულამ ხოჯის ბადიში სიკდილს აართვა ხელებიდან,ხუთი წელი გასულიყო.ბიჭი წელს სტავლას ამთავრებდა და რეჯებალაჲც, ამით გახარებული ალაგს ვერ იძევდა* მისთინ.

მარიამობის შვა რიცხვებში ამეეყუდა ჭკვით და წლებით დამძიმებული გულაჲ სოფელში.ჭიშკარზე მოყუდებული ბაღანა კინაღამ ვერ იცნო ნენემისმა*. იმფერი აყრილიყო ტანში,რომ გეგონებოდა ძველებურად ხის ჯოხებზეა დაკვაჭული და ისე იარებაო.მხრებში და კინჩხში* ისე გასქელებულიყო,რომ არა ძველებურად კერატანაჲ* თვალი კაკლები,ინსანს* მისი ცნობა გუუჭირდებოდა.დიდხანს იხუტა ნენემ მისი ძიძგვაჲ* გულში და ჩუმ-ჩუმალაჲ ყლაპა ცრემლები.მხარში გაშლილი რეჯებალაჲ ისე იდგა მუხიძირში,ვითომ მასზე დიდი და ძლიერი ვინმე აღარ დარჩელინიყო დუნიაზე.

ქალაქურ ხიზმეთებს* შეჩვეულ გულას მის ძველ მინდარივით* მოკლე და მუუხერხებელი გამუუჩნდა ძველი ოდა.მთელი ღამე ფიშმანობდა მუხლებში მოკუნკვილი,რაფერ ეთქვა დედეჲსთვის, რომ ეს ძველი ფაცხა დეენგრიენ და ახალი ჯარგვალი* დეედგენ ძველის ალაგზე. ფიქრებში დაღლილს იმფერი ჩაძინებოდა, რომ ვერ შეეტყო რაფერ გათენებული.

-ხენიფე ხანუმ,კიდვენ ძინავს შენს ქალაქელ ბადიშს?-დედეჲს ზახილი შეემეესმა გულას.-ხომ ვამბობდი,ჰიჩ* წევა ხელიდან მეთქი ბაღანა და არ გეყურებოდენ არცერთს. ჰა,უცაჲ ახლა როჲსნა ადგეს, რომ დეელაპარიკო კაცი.
ბაღანა იმწამალაჲ წამოხტა ლოგინიდან,ფეხზე ყერევლაჲ* ჩამეჲჩხატა და მივდა ლაღუბაში* პირზე წყლის შესასხამად.პაწა ხანში კარგად დახაჩიჩული* და ქოჩორ ავარცხნილი გევდა ეზოში.დედეს ამ დილაუთენია სოფლის კაცები მოსლოდენ სტუმრად. დაბალ ჯორკოებზე ჩამომჯდარიყვენ კაცები ტაბლის ირგვლივ და ნელ-ნელა წრუპავდევდნენ შერბეთს.ასე გვიანამდე ძილით ცოტა არ იყოს დარცხვენილი მიადგა სტუმრებს გულაჲ.კაცები ფეხზე წამოდგენ და ისე შეეგებენ თვალსა ხელს შუა აშორლილ ბიჭს.ბიჭმა მორიდებით მეჲკითხა მოხუცები და თვალი გეექცა ღობეზე მომდგარი ხოჯა ეფენდისკენ.

-დეგვეწვიე შერბეთზე ხოჯა ეფენდი!-მიიწვია სუფრაზე რეჯებალამ ხოჯა და ბაღნის ერთად გეეშურაჭიშკრის გასაღებად.ხოჯამ თვალჩაჭუჭული აათვალიერა გულაჲ.

-ეფეᲥა* დიდი გაზრდილხარ ყაზირალო.-მოწონებით უთხრა ხოᲯამ და მხარზე ხელი მუუფართხუნა ბაღანას.-იმედია, ტანის აყრასთან ერთად ტვინიც მოგემატებოდა პაწაᲘ და ჭკვაშიც ჩაᲯდებოდი.*

-რა ვიცი აბა?რაცხა ვარ ეს ვარ.-უპასუხა თავშეკავებით გულამ და ტაბლისკენ გუუძღვა. პაწა ხანში ბაღანა სახში წევდა და ხელი წამუუკრა ნენეს მაგიდის გაშლაში. ის იყო, კაცები მაგიდას შემუუსხდნენ რომ ღობიგაღმა ძერვენახი* სოფლის ბიჭებით ეივსო.გახარებულმა გულამ იმ წამალაᲘ დეᲘვიწყა მისი სიმაღლეც და წლებიც და იმფერი აკუნტრუშდა ეზოში,რომ კინაღამ ძიგვაᲘ* გეეხია უბი ძირში.ბიჭები Ჯიხვებივით ხტებოდნენ ღობეზე და სირა-სირა* იბღუნᲯავდნენ* გულში მონატრებულ არქადაშს*. მიკითხვ-მოკითხვის მერე ბიჭებმა უფროსებს ბოდიში მუუხადეს და ღელეში წევდნენ საცურაოდ.ბიჭები დახარბებული ისმენდნენ ქალაქის ხებრებს*,არც სოფლის ბიჭებს ქონდნენ პაწაᲘ სალაპარიკო გულასთან.

* * *

ახშალამაზიხან ბუხრიძირში იᲯდა ბადიში ბებია-ბაბუასთან ერთად და მომავალზე ფიშმანობდა.რეᲯებ ეფენდიმ რამდენᲯერმე დეᲘჭირა ბადიშის უკმაყოფილო, დაღრენᲯილი* ყურვება* ფუტისგან* გამოჭვარტლული* კედლებისკენ და ძველი კაცის მიხვედრილობით უთხრა ბაღანას:

-ბაბი,მართალია ფარა არ გვაქ მარა,არც იმფერი ფუხარები ვართ,რომ ამფერ ფაცხაში ამოგვხვდეს სული.ჰამანქი* იმის დროა მოსული,რომ ქალი მეᲘყვანო და ეზო კარი კირკლებით* აავსო.ჰოდა,მოცდა არ ღირს,ალლაჰმა იცის როᲘსნა ამოგვხდეს მე და ხანუმს ყიაში* სული,ხვალ დილიდან წევალთ ტყეში და მასალას დავამზადებთ.ისე,თუ იტყვი დიდი ნადით წევდეთ ტყეში და საქმე წინ წევგდოთ*.

დედეᲘს სიტყვები იმფერი გუუხარდა გულას რომ კანკულაᲘ* დედაბერი ხელში აწია და ხერტალივით ატრიალა.

მეორე დილით ოცამდე ახალგაზრდა გეეშურა ტყისკენ.რეᲯებ ეფენდი გაფაციცებით აფრთხილებდა ახალებს* თუ რომელი ხედა მეეჭრენ და რომელი არა.არც ისენა ექნენ,რომ ტყე ჰადმენ გამოკაფულიყო დიდზე.

-პაწ-პაწაი გამოამეჩხრეთ ბაბი ტყე ჩვენი წისქვილისკენ,ბევრი არ მოგივდენ და იმ ამოსაგდები რუსებივით არ გიგვიტიტველოთ ქედები.-საბოლოოდ დაარიგა რეᲯებალამ ბაღნები და უკან გაბრუნდა.-,,რაᲘს რუსებიო,რას ამბობდა დედეᲘ?*-გაკვირვრბული იკითხა გულამ.

- ეხ,ძმაო , შეენნა გენახა რაფერ მიგვაყენენ რუსებმა და თოფიჭერით* გვაიძულეს ახალ-ახალი ხეების ჭრა. ნაცეცხლურივით გამობაინდა* ქედები გადაღმა ხევში. ნასოფლარს დეემსგავსა გორიკავის მხარე.დაშრა ან სულ მთლად დეᲘწრიტა წყაროები.აღარც მიწას იკავებს რამე. ყიამეთ ამინდში ფიცრულები ხან მოვარდნილ წყალს მიაქ და ხან მიწა მიაჩოჩებს ქვეᲘთკენ. დეᲘფსო ხალხი.-უპასუხა ბღეზით მალხაზამ.

-ჩვენსკენ არ გუუკაფიან,ვერ მუუდგენ ხომ წასაღებად მაᲘ ოᲯახქორები?-იკითხა გულამ

-Ჯერ ვერა,მარა იქ რომ ეᲘთავებენ,მერე აქეთაც დიგვიწყებენ ᲯიᲯღინს.-ჩეიბლუკუნა დაუთაᲘს ბიჭმა.

-მაᲘ საქმე ნამეტარი იბრეთი რამეების მომტანი იქნება,-ხმამაღლა თქვა გულამ.-დეᲘხსომეთ თქვენ. ქალაქში ამბობდნენ,თუ მთაში ხის ჩეხვა არ შეწყდა,მთა-ბარი გაერთიანდებაო.

დერდებმოწოლილებმა* უხმოდ გეჲარეს ეკლესიის ეზო და გაღმისკენ გუუხვიეს.გულას უცბათაჲ ის წუთი გაახსენდა ხოჯის ბადიშს ბირტყი რომ გუდუუყარა სახიდან და იმწამალაჲ მაშინდელი ხორშაკი დუუტრიალდა ტანში. ,,ალბათ უკვე გაათხვეს ი გველივით ჭრელითვალაჲ ციცაჲ''-გეიფიქრა გულში და პაწაზე რაცხამ გუუფხაჭნა გულიფიცარი...

ბუჲანობა- აურზაური
შედუმანება-უჟმურისგან გაწმენდა.
ციცაჲ- გოგონა
დუნია-სამყარო,აქ ბევრი,უამრავი
ბღაშტის-ბავშვის
თავანისკენ-ჭერისკენ
ეშმაკზე წინ გამშპარი-ეშმაკზე წინ წასული,
სიბერის გარგანი-ხელჯოხი,აქ სიხუცის იმედი ანუ ასაკში შეძენილი,ნაბოლარა შვილი
ხებერი-ამბავი(თურქ.)
ზავალი-საცოდავი
ბაღვი-ბავშვი
კაცისიანები-ქმრის მხარე
მეიკუჭვებოდნენ
უბიძირში უსულით გამოზრდილი-სათუთად გაზრდილი
ტაია-დედის ძმა(თურქ.)
კირკლები-მიწყობით გაჩენილი ბავშვები
ყეზას თვალი არ უჩანსო-არავინ უწყის სად იმალება ხიფათი(გამონათქ.)
გუნდრუცითნელა,აუჩქარებლად,უსიცოცხლოდ მოძრაობა,ზოზინი
თლიდა-ითვლიდა,ანგარიშობდა
თავიბაში-ქვეყნის გამგებელი
ლაღუბა-პირსაბანი
გამოლომპრილი-გატყავებული
ფიშმანობდნენ-ბჭობდნენ,ფიქრობდნენ
აბურხალა-ატრიალა ყირაზე
დაკერწეხდა-დალაგდა
დაახჩემვია-დააკრეჭია
სიბეჩე-სიბრიყვე
ციციელი-მეხი,მეხდაცემული
ცხემლა-რცხილა
ტანტრაბა-აივანი
ჭიჭვეტაჲ-ჭრელი
ჭიტინაში-ჭუჭრუტანა
ორკარაი -ორ ადგილას სახლის,ცხოვრების მქონე
ბუცვას-დაჟინებულ მზერას,თვალთვალს.
ყიამეთში-უბედურებაში
იჭიპრვოდენ-აქ იჭირვებდნენ
იძევდა-პოულობდა
ნენემისი-ბებიამისი
დაკვაჭული-გამოკიდებული
კინჩხი-კისერი

კერათანაჲ-ძალიან შავი
ინსანს-ადამიანს(თურქ)
ძიძგვაჲ-ჩაფსკვნილი
ხიზმეთებს - ხლაფორთებს
მინდარი - ლეიბი
ჰიჩ-სულ(თურქ.)
ყერევლაჲ-ტყავის ფეხსაცმელი
დახაჩიჩული-დაბანილი
ჯარგვალი-მრგვალი მორებიტ აგებული სახლი
ეფეჲჯა-საკმაოდ(თურქულ.)
ჭკვაშიც ჩაჯდებოდი-დაჭკვიანდებოდი(ფიგ.გამონათ.)
ძერვენახი-მინდორი
ძიგვაჲ-შარვალი შალის სახლში შეკერილი
სირა-სირა- რიგ-რიგობით
იბღუნჯავდნენ-მაგრად,უხეშად იხუტებდნენ
არქადაშს-მეგობარს(თურქულ.)
ხებერი-ამბავი
დუნია-მემლექეთის-ქვეყნის
დაღრენჯილი-მოღუშული
ფუტი-ბოლი
გამოჭვარტლული-გაშავებული,გამურული
ყურვება-ცქერა
ფუხარა-ღარიბი
ჰამანქი-თითქმის
კირკლები-ბაღნები
ყია-ყელი
კანკულაჲ-წელში მოხრილი ადამიანი
ახალებს-ახალგაზრდებს
თოფიჭერით-თოფის დამიზნებით
ბღეზით-გაბრაზებით
გამობაინდა-გამონათდა,აქ გამოთავისუფლდა
დედრდებმოწოლილებმა-დადარდიანებულებმა

ხ ო ჯ ა

პირველი თოვლის მოსლამდე რეჯებალაჲს სახლი უკვე ორთში* იყო მოქცევლი. ყავარგადახურვილ ჯარგვალში ძველი ბუხრის ყელემი* დეეტიენ მარტო. გულამ ცოცხალი თავით არ მოანგრევია ძველი ბუხარი.მართალია, პაწაზე ფუტს აპარებდა ქვის ჭიტინებიდან,მარა ამოვლესოთო ეჲჩემა ბაღანამ.ბუხარში ჩვენი წინპრების სული ტრიალებსო,დეჲჩემა,არადა საქმე იმაში იყო,რომ ხის კედლების დაშლიხან ბუხრის ქვაზე ვენახის ფოთლებით მიმოხვევლი ჯვრის ნახიში* დეჲნახა ბაღანამ.გამჭვარტლული ქვის

გაწმენდა მისი ხელით ითავა ბაღანამ და ბევრი ხეხვა-რეცხვის მერე პირველი სახე დუუბრუნა ქვის კედელს.ამის დანახვაზე კიდვენ უფრო დეჲჩემა რეჯებალამ კედლის მოშლა და ბაღანა რომ ვერაფრით გედეჲბირა,ხოჯას დუუხმო საქმის გადასაწყვეტად.

უსიტყვოდ უყურა ხოჯამ კედელს და ჯანგამოცლილი დაყუყდა სექვზე დაფენილ ქეჩხოზე*.ბუხართან იდგა ბიჭი და ქობულად* უყურებდა ხან ხოჯას,ხან დედეს.

-ეს ბუხარი,ამ ოჯახს ყეროსავით* აქ შეყენებული.-დიდი ხნის ფიშმნის მერე დეჲწყო ხოჯამ ენის ბორძიკით.ამის მოშლა არნა იყოს ჭკვადამჯდარი კაცის საქმე. გახსოვთ,ზომოებმა* ბლაყვი გელინის ხუშტურებს* რომ უუყვენ და ბუხრის ყელემი ჩამოაქციეს,იმიტომაც იყო რომ ზვავმა წეჲღო იმათი სახლი და კიდვენ კაჲ,ინსნებიც* არ მეჲყოლია შიან.ჩვენში ბუხარსს ხვანაჲრად ოჯახს იმიტომაც ვუძახით,რომ ბუხრის ჩამოქცევა ოჯახის დაფსების ნიშანია.ამიტომაცაა,რომ როჲცხა იტყვიან ოჯახი დეჲქცაო იქვე კითხულობენ ხალხზეა ლაპარიკი თუ ბუხარზეო.-ცოტა ხნით გაჩერდა ხოჯა და მერე რეჯებალასკენ იბრუნა პირი, -დუუჯერე ბაღანას რეჯებ აღა დუუჯერე! აგენმა უკვე ჩვენზე მეტი იციან. ჩვენ გზის გაწარბვაშინა* დევეხმაროთ თვარა,იმ გზას ჰაჲთქენ უზამენ პირს,ეს მათი გადასაწყვეტია. მთავარია ხათა-ბალაში და უკეთურებაში არ გეერიონ და დანარჩენი გამჩენელის საქმეა.

ხოჯას მეტი რამენ აღარ უთქმია.მისმა ნათქვამმა ყერი-ყერში ამეჲყვანა* ყველაფერი.გამუუნათდა სახე გულას,რეჯებალაჲ კი ყინტორდასხმულივით* იდგა ბუჯაღში*.,,ხოჯის სიტყვა ძირში არნა დავარდესო*“-რაც თავი ახსოვს,ასე ასწავლიდა დედეჲ ბადიშებს,ჰოდა არც თვითონ შესიტყვებია ხოჯას ბადიშის თანდასწრებით, მარა დაღრეჯილ სახეზე ეტყობოდა ხიხათ ყოფნა*.წასლიხან ხოჯამ გულაჲ გვერდზე გეჲხმო ახშალამაზიხან* ,,ჩემთან გამოჲო“ დუუბარა და წევდა.

ხოჯის ნათქვამმა კიდვენ ერთხელ გააკვირვა ბაღანა. ,,ნეტაჲ მაგის თავიკაფაღი* ამახდევია და შიან ჩამახედიაო“-ფიქრობდა მისთათვინაჲ.* ნამეტარი სხვანაი იყო ხოჯა ეფენდი.ვინმეს არ გავდა დუნიაზე.მაგაზე უმფო დიდი ხოჯებიც დუუნახია,მარა ეს კაცი სულ სხვა იყო.გულას დღევანდელ დღესავით ახსოვდა ის დრო, როცა ბაღნებს მედრესეჲს მერე ჯვარი გაღმა გორაზე ხამი მიწის დამუშავებაზე რომ მიდენიდენ.იმ გორიდან პირდაპირ უყურებდა კაცი ჯვარიგორის ქილისეს. ჰოდა,მაშინ აფრთხილებდა ხოჯა ბაღნებს :-,,ისე იშრომეთ,ზურგი ქილისეჲსკენ არ მიაქციოთო“.მაშინ ბლაყვ ბაღნებს ეგონენ,რომ ხოჯა ამას იმისთინ ამბობდა, რომ გორი გვერდზე ხრამიდან არ გადაჩეხილიყვენ.ახლა კი ხვდებოდა გულაჲ,რომ ხოჯა მაშინ უფრო დიდი რამეჲსკენ მუუთითებდა,მარა გაჭრილად ვერ ებნეოდა ბაღნებს...

ხოჯის ოჯახში გულაჲ დაღამებამდე მივდა.კარში მისი ბადიში გამეეგება და შიან შუუძღვა.ხალხი ყოველთვის ამბობდა მარა, მართლა თუ ასე გენგიშად* ცხოვრობდა ხოჯა არ იცოდა რეჯებალაჲს ბადიშმა.ამდენი ბრწყინვალება ერთად ჰადმენ არ ქონდა დანახული.ქვის მოპირკეტებული იატაკი, ხის ნახიშლიანი თავანი,* სპარსული ნოხებით დაფარული კედლები და ხისგან გამოჩორკნილი მაგიდა-სკამები ზღაპრის ხებრებს აგონებდა მისთთვინაჲ. გულას გულში მწარედ ჩეეცინა,ახლა მიხტა,თუ რატომ აღიზებდა* ხოჯის წვრილკანჭაჲ ფაციაჲ სოფლის ფუხარა ბაღნებს.ამფერი ოდიდან გესული ციცაჲსთის რანდა მოგეთხოვა კაცს?კიდვენ კაი,ეს სახლი პაწაობაში არ ქონდა ნანახი თვარა იმ ციცას წიწილასავით წააწყვეტდა კისერს.მართალია, გულას პაწ-პაწაჲ ბრაზი ერეოდა ყოლიმფერზე,მარა ის თვალგამხილო* ყაზახი* იყო და მალე მუუკოჭა კუდი ბღეზს და ხოჯის წინ სექვსზე ჩამოჯდა.

დიდხანს ფიშმანობდა ხოჯა,თუ ჰანდაჲ დეეწყო ლაპარიკი.ბოლოს თავი მუუყარა სათქმელს და თავდახრილმა დეჲწყო:

-ამ სოფელში ჩვენი ოჯახი უწიდელიდან მოყოლებული თავისი ნაკითხობით და ღვთის თავგამოდებული სიყვარულით იყო ცნობილი.-ხოჯა პაწახან გაჩერდა და კიდვენ დაფიშმანდა ვთქვა თუ არაო და გააგრძელა,-შენ უკვე ნაკითხი კაცი გქვია და იმიტომაც გიყვები

ამას,ბევთან ამაზე ვერ ვილაპარიკებდი. მარა,ჯერ ისნა მითხრა,შენი აზრით ბუხრის დატევაზე რატომ მოგე დასტური?*

-თქვენ რა იფიქრეთ არ ვიცი მარა,მე იმიზა არ დავშალე,რომ იქ ვენახმოხვევლი ჯვრის ნახიშლი ვნახე,მართალია,ჩვენ დღეს სხვა ღმერთს ვადიდებთ, მარა ჩვენი ძველები ძველად იმ ღმერთს ადიდებდნენ.ჰოდა, მეც პატივს ვცემ ჩემს ფესვებს.-დუუფიქრებელი უთხრა გულამ და ფეხზე წამოდგა.

ოთახში იმფერი სუნგალი* ჩამოვარდა,რომ ბაღანამ იფიქრა, ჩემმა ნათქვამმა ხოჯა დააყრუვა და დაამუნჯაო.ყველაფრის გაკეთებას ელოდა გულაჲ,მაგრამ ის რაც მოხდა,წარმოუდგენელი იყო. ხოჯა წამოდგა და კედელთან მიდგმულ სკივრს* თავი ახადა.იქ იმფერი ძვირფასი ჯამ-ჭურჭელი,ქამარ-ხანჯალი და ჩოხა-კაბები ელაგა, რომ გაკვირვებისგან თვალები შუბლზე უუცოცდა ზავალს.ხოჯამ ნელ-ნელა ამოალაგა ნივთები და სექვის ძირში ფარდაგებში გახვევლი რაცხა ამეჲღო და ფრთხილად დადვა მაგიდაზე.ცოტა ხნით გაჩერდა,ეტყობოდა საბოლოოდ ფიშმანობდა, გეეხსნა თუ არა ეს შეფუთნილი სტუმართან და ბოლოს მაინც გაბედა. ის, რაც რაც პაწა ხნის წინ დეჲნახა,არაფერს ნიშნავდა იმათან შედარებით,რაც ამ პაწაჲ ზარდახშაში იდვა.ხოჯამ უსულით* ამოიღო და მაგიდაზე დაალაგა დიდი და პატარა ზომის ჯვრები, ხატები, ჯვრიანი წიგნები და დიდი გასაღები.

-ეს რას ნიშნავს ხოჯა ეფენდი?-ძლივს ამეჲბლუკუნა გულამ.

-რას და,ყველამფერი ჩემი დედე-ნენეჲს დატევლია.მუსლიმების მოსლამდე ჩემი ოჯახის წევრები მღვდლები იყვენ.იმ ქილისეჲს გასაღებს ჩემი ოჯახი ინახავდა ებბედი*.ჰოდა,ზუსტად ქილისე რომ არ დეენგრიენ და ხალხიც არ მიეყოლებიენ ზედ, პირველი ამ სოფელში ჩემი დიდი დედეჲს დედე,სოფლის მღვდელი გამუსლიმანებულა. მერე ხალხი ამბობდა,რომ ამით ხალხსაც გული მეეცა და ადვილად გამეჲცვალეს ჯულიო. დიდხანს არჩევდა ამ ამბავს ხალხი,ბევრი ლანძღავდა ,ბევრიც ამართლებდა მის საქციელს...დრო და დრო ყველამ ყველაფერი მიივიწყა.მარტვაჲ ჩემი ოჯახი დარჩა ორცეცხლშუა გამოკიდული.ძალვან ძნელია იყო ხოჯა და გულით ჯვარს ატარებდე...- უცებ ხოჯა ეფენდი გაჩერდა გულზე მიიდვა ხელი.მეტი აღარაფერი უთქმია.ისევე უსულით ჩაალაგა და შეახვია ხოჯამ ნივთები და სკივრში გადამალა.

ენა გადაყლაპული იდგა გულაჲ შვა ოთახში და ვეღარ მიმხდარიყო რა ხდებოდა,ან რაზე ეჲრჩია მაინცადამაინც ის ამ დიდი საიდუმლოს განდობისთინ. ბევრი კითხვა ერთად უტრიალებდა თავში და ბოლოს მაინც კითხა ხოჯას:

-რატომ მაინცდამაინც მე ?

-არ ვიცი,ალბათ იმიტომ,რომ შენთან დიდ ვალში ვარ,ან იმიტომ,რომ პირველი ნაკითხი კაცი ხარ უკვე სოფელში,ან იმიტომაც,რომ გეყო ძალა და დედეჲს ჯინაზე მაინც არ დაანგრიე ჯვრიანი ბუხარი...არ ვიცი,უცბათაჲ მომინდა და ასე გადავწყვიტე.უკვე სხვა დროა მაინც,აწი თურქები ვეღარ დაბრუნდებიან,ღელე კი, ოდესმე მაინც დუუბრუნდება მის პირველ სადინარს...

-რომელი ღელე?-ისე ბლაყურად კითხა უცბათ გულამ,რომ მიხდა ხოჯა, რომ ლაპარიკის დამთავრების დრო მოსულიყო.

-რაც გითხარ,კარგად დეჲმახსოვრე და მარტო იმფერ დროს და იმფერ კაცს მუუყევი,ფჩხილიდან თმის ღერომდე რომ ენდობი...

ერთი თავით ამაღლებული და ერთი ფუთით დამძიმებული მიაბიჯებდა ორღებეში ბაღანა და თავი სიზმარში ეგონა...

ორთი-სახურავი
ყელემი-ბუხრის საკვამური
ნახიში-ჩუქურთმის ერთ-ერთი სახეობა
ქეჩხო-მოქნილიცხვრის ტყავით შეკერილი მოსაცმელი
ქობული-გამბედავი,უშიშარი,ვაჟკაცური
ყერო-მსხვილი ბოძი,აქ იგივე დედაბოძი
ზომოები-ზევით მაცხოვრებლებმა
ხუშტური-ახირება
ინსნები-ადამიანები(თურქ)
ყერი-ყერში ამეჲყვანა-თავისთავში,თავის ადგილზე დაბრუნდა ყველაფერი.
ყინტორდასხმული-ძალიან ცივი წყაროს წყალი.
ბუჯაღი-კუთხე.
სიტყვა ძირში არნა დავარდესო-ანუ აუცილებლად უნდა ასრულდეს
ხიხათ ყოფნა-ცუდად-ყოფნა
გზის გაწარბვა-გზის გაკვალვა
ახშალამაზიხან-საღამოპირს(თურქ.)
თავიკაფაღი- თავის ქალა
მისთათვინაჲ-თავისთვის
გენგიშად-კარგად,მდიდრულად
თავანი-ჭერი
აღიზებდა-აღიზიანებდა
თვალგამხილო-საზრიანი
ყაზახი-გლეხი(თურქ.)
დასტური-თანხმობა
სოფლიერი-სოფლის მაცხოვრებელი
სუნგალი-სიჩუმე
სექვს-ტახტი
უსულით-ფრთხილად
ებბედი-ყოველთვის

ს ო ფ ლ ი ს ს ა ს ი ძ ო

რეჯებალაჲს ბადიშის სოფელში დაბრუნებამ ისე ააფუთუნა ხალხი, რაფერც ჟოლოჟვერის* დანახვაზე აბრეშუმის ჭიები.ვინცხას ქალი ყავდა გასათხვარი, ყველაჲ ამათ ეზოში იჯდა დედაბუდიანად.საცოდავ ხენიფე ხანუმს მარტო სუფრის ალაგება-დალაგებაში უღამდებოდა.მოხუცები უსიტყვოდ უსმენდნენ მათი ბიჭის სიძედ მპირებლებს და მორიდებული ვარით ისტუმრებდნენ უკან; ესაო და ,,ქალაქში ნასტავლი ბაღნის დაყოლიება ძნელი ყოფილაო“,ან ,,ასე ამბობს ჯერ არ დავქოწინდებიო“, ან კიდევ იმას მიზეზობდნენ: ,,ვერაფრით მუვუგრიხეთ კისერი და შევაბით ეჟვანიო...“.გულას კი ყველაფერი ეს სასაცილოდ არ ყოფნიდა და ძმა-ბიჭებთან თევზაობაში და ნადირობაში ათენ-აღამებდა.უმფო მეტად კი რეჯებალაჲს წისქვილში იკრიბებოდნენ და ყადიოღლი დაუთაჲს საკაცოჲდან ჯემალაჲს მოპარული ღვინით ირევდნენ ჭკვას.

იმ დღესაც კარგად შემთრალები იყვენ ბიჭები.რემზის,ხასანას და ბადრის სობიძირში დაფენილ თივაზე ჩაძინებოდნენ.ტაბლასთან გულაჲ და დაუთაჲს ჯემალაჲ შერჩენილიყვენ მარტვაჲ.რეჯებალაჲს ბადიში ხშირად ამჩნევდა,რომ ჯემალაჲ სიმთრალისხან, პაწაჲ ალმაცერად ებუცვოდა*.ერთი არა,ორი არა და სამი, ბოლოს ყელში ამუუვდა ბაღანას და კითხა:

-ასე რაზე მიყურებ ჯემალავ,შენთან რამე ვალში ვარ და არ მახსოვს თუ რაა ერთი იმიხსენი.

-ახსნას რომ ჭკვა ქონდეს და საშველი, იგიხსნიდი,მარა არ ღირს ძველი თორბის წახსნა.თავი გააქნია ჯემალამ და ჭიქაში დარჩენილი ღვინო მოწრუპა.

-რა ამბავია ამფერი მე რომ არ მახსოვს?-კითხა გულამ და პაწაი ჩაფიქრდა. ბაღნობაში მისი სიჩინგნით* იმდენი ვინმე ყავდა აყიამეთებული,რომ ახლა ვინ მოთლიდა,მარა კარგად ახსოვს,რომ ჭკვადამჯდარ ჯემალასთან შეხლა ერთხელაც არ მოსლია.-არა მაინც ვერ ვხტები რაშია საქმე,ჰელე,* ამოღერღე და მომიყევ ყველაფერი სანამ ბელაში შიმისწრიხარ.

-მართალია,მაშინ ბაღვი იყავ,მარა მაინც არ გეპატიება მარტვაჲ ციცაჲს წისქვილში წამწყდევა.ვიცი,ხოჯაზე აჯელის ყრა* გინდოდა,მარა ციცაჲ არნა გეგერია მაგ საქმეში.

გულას თან ეწყინა და თან გუუხარდა ჯემალაჲს ნათქვამი.ეწყინა იმიტომ, რომ ციცაჲს სახელის ფინთად* ხსენება არ იყო ზოვლი* ხებერი,მარა გუუხარდა ის, რომ უმფო სხვა რამე რომ ყოფიყო კაცობაში შესარცხვენი,თავის გამოსაყოფი ადგილი არ ექნებოდა მემლექეთში.გულამ დაწვრილებით მუუყვა ჯემალას იმ ღამინდელი ამბავი და თან დაამატა:

-ჭო,გათხოვლი ქალის საქმეებს რაზე იძევ,რაში გჭირდება?ისე ,მართლა ჰადაა გათხოვლი ხოჯის ბადიში?

-ვინაა ჭო გათხოვლი?-გუუკვირდა ჯემალას.-მაგა ხოჯა ქალაქში არ გაათხვებს და სოფელში კი შენ გარდა ვინმეჲს ოჯახში შესასლელი პირი არა აქ მაგას.

-რაჲ ჭო?-დააფჩინა პირი გულამ.-რას ქვია არაა გათხოვლი და ილლექი ჩემი მოსაყვანიაო?რაცხა ვათრიე იმ ყიამეთში არ მეყო და ახლა თურმე ჩემ სახშიდა ევტანო გაბრექილი ხოჯა და მისი სურუნჯენიაჲ* ციცაჲ? ჰაცხან არიან იქ დეეტიონ და მე თავი დამანებონ სანამ კაჲ ჭკვაზე ვარ ჯერაც.

-აბა,თუ ხოჯის ბადიშის ამოსლას არ უცდი,რაჲსთვინ არ მოგყავს ქალი? ორი-სამი წლით შენზე დიდვანი გოგვებიც რომ აცუდრუკდენ და ხას ვინ გიგზავნიან ელჩად,ხან ვის,რაზე არ ირჩევ ვინმეს?

-არნა დავქორწილდე გინდანან რამე?-გაბრაზებული წამოხტა ზეზე და წისქვილიდან გევდა.

-შენ თუ არ გინდოდა,სხვას რაზე უშლიდი ხელს?-ისე მიაძახა ჯემალამ, რომ გულას ჰიჩ არ შუუტყია რამე.არა და,თურმე შეძლებულ დაუთას და ხოჯა ეფენდის ბაღნების პაწავობაში დუუდვიან პირობა,რომ მათი ბაღნები ილლექი დეექორწილებიენ დიდობაში. ეს ამბავი მისდღემში* არ უთქმია ჯემალასთვინ მამამისს, მარა ი ამბავი რომ მომხდარა,მაშინ გუუგია რაფერ ებნეოდა დაუთაჲ მის ქალს- ,, მაგ ციცას სხვისი არ ვიცი მარა,მე სახში არ შემევყვან; რაც უნდა ის ქნას ხოჯამ.ალლახმა იცის იქ რა მოხდაო...მას მერე ჩამუუდვია გულში ჯემალას გულაჲს წყენა და აქნობამდე* უწიკია*.

წისქვილიდან გესულ გულას გულში დიდი ხნის წინ ჩალაგებული დერდები უუფუთუნდნენ.მიწაწაყრილ თესლებივით წამოყეს თავი ფიქრებმა და საფიქრალი უუფუნგეს* ბაღანას.-,,ვინაა ჭო გათხოვილი?“-ექოსავით უბრუნდებოდა უკან ჯემალაჲს სიტყვები... ,,ვინაა ჭო გათხოვილი?“ -ტრიალებდა სიტყვები ჰაერში და აქეთ-იქით აბანცალებდა.გულამ სახეზე წყალი შეჲსხა და წისქვილში შებრუნდა. მაგიდაზე ჩაქინდრულ ჯემალას თავი ააწევია დაკითხა:

-რას ამბობენ,როჲსნა დაბრუნდესო ხოჯის ბადიში სოფელშიო?

-გათოვლებამდე ამოვაო,გუშინ ებნეოდა ბაბას ხოჯა ეფენდი.-ნახევრად სიზმრიდან უპასუხა ჯემალამ და ხვრინვა ამოუშვა.

ახალმა ხებერმა ღვინით არეული ჭკვა უმფო უურია ბაღანას.ჰაადან არ მუუარა ამ ამბავს და ჰადმეადან ვერ მოარგო გასაღები.,,ის რომ, იმ დროში იმფერი წარაკვაა* და კუდაბზეკაა იყო ი ციცაა,ახლა ვარესი იქნებაო“-,ფიქრობდა ბიჭი. ,,თვალიკაკლის სილამაზით ქალი ვის მუუყვანიაო,თანაც იმა იმფერი წვიტი* ჭლიკები ქონდა,რომ ახლაც რამეთ არ ივარგებსო“-ინუგეშებდა თავს და მაინც ხოჯის ბადიშისკენ ეპარებოდა ფიქრები.

დილით გაღვიძებულ ჯემალას ხან აქიდან უარა გულამ,ხან იქიდან,მარა გუშინდელზე სიტყვაც ვერ დააცდენია.,,ეტყობა მართლა სიმთრალით იბოდიალა ყველაფერი და დღეს რამენ აღარ ახსოვსო“-გეაფიქრა გულში და პაწაზე დამშვიდებული გუუყვა სახლისკენ.

ხოჯის ბადიშის სოფელში დაბრუნებას სულისსიმწრით უცდიდა გულაა. პირველი თოვლი ისე მოვდა და აშრა,რომ იმ ციცაას ამბავიც კი არ ამუუტანია ვინმეს ქალაქიდან, არათუ ი გოგო ამოსულიყო.ცოტა არ იყოს,გულზე მუუჭირა,-,,ვაათუ ტყვილაა იმედები ჩევდევი გულშიო“-,მარა, მაინც არ იტეხავდა გულს. რეჯებალასთან კი ისვენ რძლობის მპირებელთა რიგები იდგა.

ერთხელ,სახლში მისულ გულას ოდაში ხოჯა ეფენდი დახდა სტუმრად. ზრდილობიანად დუუკრა თავი მისალმების ნიშნად და მოხუცებისგან მოშორებით ბუხართან დაჯდა.

-დღეს სტუმრად ქომოების* ყაანი* იყო ამოსული,-ბადიშის გასაგონად თქვა რეჯებალამ.

-მერე?-ვითომც აქ არაფერიო,ისე იკითხა გულამ,-უნდოდა რამე თუ?

-კაა ციცაა ყოლია თურმე გასათხვარი,სულმთლად ბაღანა.

-მერე ჯერ გაზარდოს.-მოკლედ უპასუხა ბაღანამ და ბუხარში შედებულ დიდ ჯირკვს მხარი მუუცვალა.

-ჭო,როაცხა ხომნა დაქორწილდე?-გაბრაზებით იკითხა რეჯებალამ.

-როაცხა კი.

-დღეს რა გიშლის ხელს?რაფერ,შენი მოსაწონი ციცაა არ დეაარება ამ დუნიაზე ნეტაა?

-ჰადმენ რომ გეევლო დევნახევდი.-ნიშნის მოგებით უპასუხა დედეს ბადიშმა და ფეხზე წამოდგა.ადგომისხან გულამ დეანახა,რომ ხოჯა გაფაციცებით ისმენდა მათ ლაპარიკს და თავში ერთი აზრი მუუვდა;იმ წამალაა დეატკბო ენა და დედეს უთხრა:

-მარტო მე რომ მომჩერებიხართ,ადექით და თქვენაც შეარჩიეთ ციცაა. მარტო ჩემთვინ ხომ არნა მევყვანო არა? თუ იმფერი გოგო ნახეთ, რომ ორივეს მოგეწონენ,მეც მევწონებ და ვიქორწინებო.-ისე უთხრა გულამ დედეს,რომ ხოჯისთვის თვალი არ მუუცილებია.ამ სიტყვებზე ძალვან აფორიაქდა ხოჯა ეფენდი.ეტყობოდა,რომ ჯემალაას ოჯახივით ხოჯაც ფიქრობდა,რომ მისი ციცაასთვინ ყველაზე კაა გულაზე წაყოლა იქნებოდა.ახლა კი,როაცხა ბაღნის სიტყვები მეაყურა, პაწაა არ იყოს მუუჭირა კაცს,ვაა,თუ ციცაას ამოსლამდი დაქორწინდაო.

ხოჯის სტუმრობის მერე უფრო დარაათებული* დადიოდა გულაი.მისი ჭკვით, ქალი უკვე დაგულვილი ყავდა და ახლა იმა უცდიდა,როასნა ამეეყვანენ სოფელში და დეჯდუმლებიენ* მისთინ .სოფლის ბიჭებმა ერთხელ ისიც უთხრეს : ,,გოგვების სახელ ნუ აფუჭებ,ვინცხაა ეაჩიე თვარა, ვინც შენზეა ნათქვამი, სხვები აღარ აკითხავენ და დარჩებიან გოგვები გუუთხვარიო.“ ამ სიტყვებმა ნამეტარი გული ატკინეს გულას და პაწაა ჩამოაქაჩიეს.არანდარა* რა ქონდა იმფერი გადასარევი?,პაწას თუ გეაჭირვებდა კაცი,მისფერ ჯარგვალს ყოველთვის დადგამდა;სწავლითაც ამ უცოდინარ სოფელში დიდად ვერ გააკვირვებდი ვინმეს. პირიქით,,,ჰელე,არნა დეევნახო რაშინა გამეაყენოს ჭკვაო“-იცინოდენ მის ზურგს უკან სოფლელები. თანდათან მიხტა გულაა,რომ ხალხმა ცალყბად დუუწყო ყურება და ერთ დღეს ყველას გამუუცხადა.,,ხალხო,მე ვინნმეს არ ვწუნილობ,ჯერ ვერ დავქორწინდები,კაა

ნიშან-ბოხჩის ფარანა მოვაგროვოვო“.ეს ამბავი უცბათ გავცელდა და ხალხსაც პაწაჲ ბრაზი გუუარა.

ამ ამბების მერე,პაწაზე კარჩაკეტილი გახდა რეჯებალაჲს ბადიში. დილიანა მიდიოდა წისქვილში და ქალაქიდან წამოღებულ წიგნებს კითხულობდა.ახლა რომ ხნა-თესვის ზამანი* ყოფილიყო,მთელი ძალღონით დეჲწყებდა მუშაკობას და საფიქრალისთინ დრო აღარ დარჩებოდა,მარა ამ ზამთარში რანნა ეკეთებია?არც სახში უნდოდა დიდხანს ყოფნა და მოხუცების გუუთავებელი ჯუჯღუნის ყურვება. ჰოდა,რაფერც იხერხებდა, ისე არიდებოდა ხალში გამოჩენას.დრო და დრო სოფელში იმაზე დეჲწყეს ლაპარიკი,რომ ზაქარაჲ ხოჯიბადიშის ამოსლას უცდის და იმიზა არ ქორწინდებაო.რა წყალში გადავარდნილიყო აღარ იცოდა ბაღანამ.სწორედ მაშინ მიხტა ერთ დიდ სიმართლეს.,,სოფელი აგაშენებს და სოფელი დაგაქცევსო“.აბა რას ერჩოდენ ბაღანს?იყო მისთათვინაჲ ერთი სოფლელი და უფარო ყაზირალი. მარა იმდენი ტყვილ-მართალი იბლუკუნეს მასზე,რომ ზოგისთინ რომ გეკითხა ხოჯაზე მეტი ფარა ქონია გადამალული,არა და ერთი ზავალი ბეშიბილლიც* არ უჭყაოდა სახში.ნეტაჲ ჰიჩ არ დეენგევია ძველი ფაცხა,მეეყვანა ერთი ლამაზი ციცაჲ სახში და ყოფილიყო თიბილად.არც ხალხის სალაპარიკო გახდებოდა და მითუმეტეს, არც გასარჩევი. სიმართლენა ითქვას,მართლა რამე არ დუუშავებია,მარა იმდენი მომდურავი გეჲჩინა,რომ ისევ ძველი ჩინგანი ბაღანა ეგონა მისი თავი.კიდვენ კაჲ, დიდი თოვლი მოვდა და ხალხმა მიმოსლა შეაჩერა და გულაჲც დამშვიდებული დაჯდა სახში გაზაფხულამდე.

ჟოლიჟვერი-თუთის ფოთლები
ებუცვოდა-უცქერდა,აშტერდებოდა
სიჩინგლე-სიცელქე
ჰელე*-აბა
სანამ ბელაში შიმისწრიხარ-სანამ რამე არ ამიტეხავს შენთის
აჯეღი-ჯინი,სამაგიეროს გადახდის სურვილი
ფინთად-ცუდად
ზოვლი-კარგი
იძევ-არჩევ,იქექები
სურუნჯენია-ენამწარე
მისდღემში-არასოდეს
ბაბაჲს-მამის
აქნობამდე-აქმდე
უწიკია-უზიდავს
უუფუნგეს-აუშალეს
წარაკვაჲ-აუტანელი
წვიტი-წვრილი
ქომო-ქვევით
ყაჲნი-ცოლისძმა(თურქ.)
დარაათებული-დამშვიდებული(თურქ.)
დაჯდომილება-ქალის მისი ფეხით ქმრის ოჯახში მისვლა და დარჩენა.
არანდარა-არადა
ზამანი-დრო(თურქ.)

ბეშიბილლიც*-ოქროს მონეტა

ს ა ს ე ლ ა

ლილიჭრელობაზე გულას დერდები სულ თლათ გეეფანტა გულიდან. დილიდან საღამომდე დედესთან ერთად მუშავობდა ყანაში.საღამოს კი მეზობლის ბიჭებთან ნარდის თამაშით გაყავდა დრო.ამ საღამოსაც ყანიდან ამოსული,ლამაზად დაბანილ-დახაჩიჩული იდგა ფეფენიკში* და თუთუნს წრუპავდა.პაწ-პაწაჲ წვიმდა მარა იმფერს აელვებდა,რომ ეტყობოდა მაგრათნა გაწვიმებულიყო.ის იყო სახშიდა შესულიყო,რომ ამდროს სოფლის ბიჭებმა ჩამეჲარეს თოხებით.

-ხომ მშვიდობაა?-გასძახა ბიჭებს ზაქარამ.

-მშვიდობაა!გზაზე შვავი ჩამოწვა და ხოჯის ოჯახობამ დიგვიძახა დასახმარებლად.

-ამ ღამე რა გეჩქარებიან მერე,ხვალამდე გედეჲღებს და მერე გავწმინდოთ. ახლა გადმოჲთ რამე წევლუკმოთ.-დაპატიჟა ბიჭები თავისთან გულამ.

-არა ჭოვ,გაგიჟდი? გზაზე ხოჯის ბადიშის და მისი ქალაქელი სტუმრებით სავსე ურემი დგას.გზა ახლავენა გავწმინდოთ.-გადმოსძახეს ღობიდან.

-დახმარება ხომ არ გინდებიან?-უხალისოდ,ზრდილობისთინ კითხა გულამ.

-კიღამ მთელი სოფლის ბიჭები იქ არიან,თუ არ გეზარება, შენც წამოჲ.

-არა,დილვენაჲ თუ ტაროსია* ყანაშინა წევდე.-გასძახა გულამ და ოდაში შევდა. მთელი ღამე იწვიმა გუუჩერებელი.ვერ მიმხდარიყო გულაჲ, წვიმის თქეში არ აძინებდა თუ ხოჯის სტუმრების ამბავი.დილაუთენია წამოდგა და ტანტრაბაში მოყვა ბოდიალს.ადგილს ვერ იძევდა მისთინ.ვერ მეენელებია ის,რომ არ წაყვა გუშინ ბიჭებს ხოჯის ოჯახობის დასახმარებლად.რას იფიქრებდა ახლა ხოჯა? არა, სხვა რომ ყოფილიყო,ხომ დუუძახნელი გეჲქცეოდა პირველი,მარა ხოჯის ბადიშის ფეხზე კიდვენ ერთი აბლაყუნება არ იკადრა ბიჭმა.მის ჯინაზეც იმფერი წვიმდა,რომ ორღობეში კაცის ჭაჭანებაც არსად იყო ვინმეჲსთვის რომ გუშინდელი ამბავი ეკითხნა...

სამი დღე და ღამე იწვიმა იმ დღის მერე. ბოლოს იმფერი გამეჲდარა,მზემ ნამსხვანი* გუუთბო დედამიწას.იმ დილით დედემ ყანაში წასლაზე ვარი თქვა ,,სველი იქნებაო“ და ამიტომაც გულაჲ სოფლის მეიდნისკენ გუუყვა გუნდრუცით*.
მეიდნის ჩარდახში* სოფლის ბიჭები როხროხობდნენ.გულაჲს მოსლა ჰიჩ არ გუუგიან ბიჭებს ისე იყვენ გართული ლაპარიკში.

-ჭო, ქლათ მაგფერი ლამაზები კი არ არიან,მარა ჩვენი ჩაფუთნილი გოგვების მერე აჲ თავახდილი ქალაქელი გოგვები სხვანაირად გვეჩვენება და ესსაა მარტვაი.-ამბობდა ერთი.

-ახლა ბლაყვი არაა აგი?-გუუკვირდა მეორეს.-ბეჩო,ჯერ ჰადმენ დიგინახია მაგფრათ მოხატული და კაცივით შალამოცმული* გოგვები.დევფიცავ, მაგფერი ციცაებს ჯერ ჩვენ მიწაზე ფეხი არ დუუბიჯებიან.

-არა,მართლა ხოჯის ბადიში რომელი იყო მაგენიდან?-იკითხა გაღმელმა გივიამ.

-ხოჯის ბადიში შენი საქმე არაა,-დუუყლიპეს თვალები გივიას და გულაზე ანიშნეს.იმან კი რამე არ შეჲმჩნია და ვითომც აქ არაფერიო,ისე კითხა ბიჭებს:

-ბიჭებო სოფლის მუხთარი* არ დიგინახიან ჰადმე?

-სოფლის მუხთარი წვიმებამდე ქალაქში წევდა და ჯერ კაჲ ხანი ვერ ამოვა.-უთხრა გულას ჯემალამ.

-რა ტყვილაჲ გამოვლაყუნდი ამხელა გზაზე,-ჩეჲქნია ხელი ბაღანამ და ბიჭებთან ჩამოჯდა. ერთი-ორი ხელი ნარდის თამაშის მერე ბიჭებს ქვეჲდან ამოსული ახაგაზრდები შუუერთდენ.ისინი იმფერს ფხუკუნებდენ შიგადაშიგ, რომ ბოლოს ხალხიც ეჲყოლიენ.

-ჭო ,რაზე იცინით გვითხარით მაინც.-უთხრა ჯემალამ ახალ მოსულებს.

-რაზედა,ჩვენი ,,ჭყლურტაჲ*“ ხომ იცით,წითელთავაჲ მალხაზაჲ,-იცინოდა გივიაჲ-შემოდგომაზე ქალი რომ დეჲნიშნა გაღმა სოფელში?... მისი ყაჲნი კიდვენ არ დაბრუნებულა ჯარიდან და მამამისი იძახდა თურმე სანამ რძალს არ მევყვან,ციცას ვერ გუუშვებ სახლიდანო;ჰოდა,ამოსლია სული ყიაში* ჩვენ წითელ თავასდა ციცასთან შეპარულა.

-რაო,რა თქვი?მაგ ბლაყვლამაზამ მაგდენი გაბედა რომ ციცასთან ღამე შესლა დააპირა?-იკითხეს სიცილით ბიჭებმა.

-დააპირა კი არა, შესულა კიდეც, მარა, ,,ბეჩის ნაქნარი ბეჩური იქნებაო“ ტყვილაჲ კი არ ამბობს ხალხი.ჰოდა, არევია ამ შვაბეჩას და ქალის ნაცლად, სასიმამროს შეგორვია კიღამ ლოგინში.-გასკდა სიცილით გივიაჲ.-იმფერი უცემიან ზავალი,იმფერი რომ ახლა დაშინებული იძახის ებბედი ქალის მომყვანელი არ ვარო.

-რანდა იქნას მერმენ მაჲ ხებერი?-სერიოზულად იკითხეს ბიჭებმა.

-რადა მეჲყვანს,აბა რას იზამს,მარა საცემი მაჲ კი არა, მისი ემიაშვილები* იყვენ.ისე გუუშვეს ბაღანა ქალის სახში, რომ ყველაფერი გარკვევით არ უუხსნიან. ყველაფერს თავისი წესები აქ.-გაბრაზებით ჩეჲქნია ხელი გივიამ.-ჯერ ისაა,რომ წინდაწინნა იცოდე,რომ დანიშნულის ოთახში მის გარდა ვინმე არ წვება.მერმენ იცოდენა ისიც,რომ დანიშნული ციცაჲს ოთახს ოჯახის კაცები იცავენ და იქ შესლა მარტო მაშინაა სატრაბახო,თუ ისე შეჲ და გამოჲ,რომ ვინმემ ვერ დიგინახა.აბა,ცხვირ-პირს თუ დიგილიღვავენ ცოლისიანები რაღა კაცობაა მაგი.

-ჭო,ერთი რამე ვერ მივხდი მე.-იკითხა ერთმა,-თუ შესლა შეჲძლება ქალთან, მაშინ რაზე ცავენ ოთახს?

-სერსემ*!-დუუძხა გივიამ,-ქალთან ჩუმათ გადაპარვა სიძის პატივია, ოთახის დაცვა კი - ქალის ოჯახის.

-მეჲცაჲთ,კიდვენ და გკითხოთ ერთი სიბლაყვე-დეჲწყო ისევ იმ პირველმა,-უცბათაჲ რომ ქალი დაფეხძიმდეს მაშინ?....-გეეცინა ნინველს.*

-მერე რა,მაგას იმიზა იჯებიან, რომ ქალი დაფეხძიმდეს.ქალის დაფეხძიმება კი იმიზა უნდებიან კაცებს,რომ ქორწილი დააჩქარებიონ ქალის ოჯახს.

-თუ ქორწილი მაინც ვერ მოხერდა ან დიდი თოვლია და ქალი პატრონმა ვერ წეჲყვანა მაშინ?

-მაშინ, ეჲქნიე ქვა და შუუშვირე თავი,-უპასუხა გივიამ-თუ ვერ წეჲყვანს პატრონი დროზე,ქალი ბაღანას მამამისის სახში იშოვს და მერე ისე წეჲყვანს კაცისას.ჰოო,მთავარი და მავიწყდა მეთქვა,-დაამატა ბოლოს,-ამფერ დაბადებულ ბაღანას სხვანაჲრად რას უძახვენ ხომ იცით?-მაგის მეტი რა ვიცით?სასელას,ნაადრევი სხალის სახელსო.-გეეციენენ ბიჭებს.-სასელაჲს მოსლამდე მისასლელ გზებში ვერ ვერკვეოდით თვარა,მაგი რავა არ ვიცითო,-დიდხანს ხორხოცებდნენ ბიჭები....

ლილოჭრილობა-თოვლის დნობის პერიოდი,როცა აქა-იქ მოჩანს მიწა
ფეფენიკი-სახურავის ის ნაწილი,რომელიც სახლის ირგვლივ გადმოშვერილია და სახლის კედლებს იცავს წვიმისაგან.
ტაროსი-ამინდი
ნამსხვანი-სხეული
გუნდრუცით-ნელა,აუჩქარებლად
ჩარდახი-ფარდული
შალამოცმული-შარვლიანი
მუხთარი-სოფლის გამგებელი
ჭყლურტაჲ-მცენარე წითელი ნაყოფით
ამოსლია სული ყიაში-მოთმინების გაფი გაწყვეტია
ემიაშვილები-ბიძაშვილები
სერსემ-სულელო
ნინველი-თინეიჯერი
ბუკი-შუბლი

ა ჯ ე ღ ი*

სოფლის ბიჭებს აყოლილი გულაჲ ცალი თვალით გზისკენ იბუცვოდა და მგზავრებს ათვალიერებდა.სულისიმწრით ცდილობდა რაცხა გეეგნო ხოჯის ბადიშზე, მარა ჰადმეჲდან არ უჩანდა პირი ხებრის მომტანელს. ბოლოს რაცხა მეჲმიზეზა და სახში წევდა.ეზოში შესულს ოდიდან ქალების ლაპარიკი შემეესმა. გუუკვირდა რა ხდებაო და ბოსლის გვერდით ბოსტანში დედეს დაადგა თავზე.

-სტუმრები გვყავს?-იკითხა ხმადაბლა.

-ჰო,ხენიფეჲ დილიდან ვერ იყო კარქად და ხოჯასთან აქიმი გოგვები არიან,იმათ დუუძახეთ გასასინჯათ.

გულამ კარგად იცოდა,რაფერი ავადყოფი იყო ნენეჲ და რასაც ნიშნავდა ამ დილიანა იმ ციცაების სახში მოყვანა.-,,მეტი რამე ვერ მეჲფიქრეთ ხომ?“ - გაბრაზებით უთხრა დედეს და წასლა დააპირა.სახლის უკნიდან ეზოში რომ გადიოდა,კიბეზე მდგარი ციცაჲ დეჲნახა,რომელიც აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.გულას ჯიხვის ჯინმა მუუარა და ციცას არ გამოლაპარიკებია, ისე გააგრძელა გზა.

-ერთი უყურეთ ამ ცხვირკუბბუხას!-წამეჲძახა ციცამ და ჩქარი ნაბიჯით დეეწია ყაზახს.-ჭო,მე ბებიაშენისთინ ამხელა გზაზე ამოვეჲ და შენ სალამსაც არ იძლევი? ხომ არ გინდა,დედეჲს ნაყიდი ფეხსაცმელი შენ ფუნიან ბოსტანში დავსვარო და ისე დუუკრიფო ხენიფე ხანუმს ფხალი ჟვერი?

გულაჲ თვალებს და ყურებს არ უჯერებდა.ჯერ სად გაგონილა ციცაჲ ასე ელაპარიკებოდეს უცხო კაცებს.ანდა ასე თავახდილი დადიოდეს სხვის ოჯახში.

-რაში ჭირია ნენეს ფხალი ჟვერი,ფხალობიოს აკეთებს?

-ფხალობიოს კი არა იმას კიდევ.ქალს თავიდა შუუხვიოთ ფხალი ჟვერით. ახლავენ მუუტაჲ.-ძველებურად გეჲბრიქა ციცაჲ და ჭყეტილაჲ თვალებით ბუკი* გუუხრიტა.-ისევ იმფერი ხეპრე დარჩენილხარ! ნეტაჲ, ამ სოფელში ერთი ბიჭი მაინც თუა ნორმალური?

-შენფერი ცერცეტაჲ გოგვებისთინ არ მგონია თავი წეჲხდინოს რომელიმემ მაინც, ტყვილაჲ არ ეძებო.-მიაძალა გულამ და უკან გაბრუნდა. ჩქარ-ჩქარა მიმოკრიფა ქორფა ფხლის ჟვერები, წყალში კარქა გარეცხა,მერე დაფერთხა და ოდაში შევდა.სასტუმროში ხატოსავით თავახდილი გოგვები ტრიალებდენ მოხუცის ირგვლივ.ბიჭი ხმამაღლა მიესალმა ყველას და პირდაპირ ნენეჲს საწოლისკენ წევდა.

-რა გჭირს ნენულავ?-ისე თბილად კითხა მუხუცს,რომ ხუთივე ციცაჲ ადგილზე გაშეშდა.უცბათაჲ მოლბა ყველაჲ და ანთებული სანთელივით დეჲწყეს გრეხვა პრანჭვისგან.ზურგს უკან გოგვების ფუთფუთს ყური არ ათხოვა გულამ. ნენეს ჯერ შუბლი გუუსინჯა,მერე მაჯა დეჲკავა ხელით და გულიფეთქვა დეჲთვალა. -ნენი,შენ თუ მარტვაჲ ყოფნა მოგეწყინა და სტუმრებით გახალისება მოგინდა შენი ნებაა,მარა ახლა ადექ და აგენს რაცხა აჭამ-ასვი,თვარა ხვალ მთელი სოფელი ილაპარიკებს: ,, რეჯებალაჲს ოჯახზე ავადყოფი და ფუხარა მეორე არ მეჲძევა სოფელშიო“.

-რაზე ფიცხობ შვილო?უცხოებთან ასე არ შეჲძლება ნენი.-წუუხტა ნირი დედაბერს,რადგან მიხტა,რომ ბადიშის გაცურვება არ ყოფილა ადვილი.ნელ-ნელა წამოწია თავი და წამოდგომა დააპირა.ციცაები დაფაცურდნენ და ნენეს წამოდგომაში დახმარება დააპირეს რომ გულამ ხელის აწვით შეაჩერა ყველა.-ბებიაჩემი ავად არ არის,მას უბრალოდ ქალაქელი ციცაების ნახვა მუუნდა და თვალს წყალი დაალევია. კარგად ბრძანდებოდეთ!-დუუკრა ყველას თავი და ეზოში გევდა.ცოტა ხანში ციცაებიც გამოვდენ ეზოში და ჭიშკრისკენ გეეშურენ.წინ წესულ გოგვებს უცბათაჲ გამეეყო ხოჯის ბადიში და გულასთან მივდა:

-ვალი გადახდილია! შენი რამე აღარ მმართებს.გმადლობ რომ გადამარჩინე. -უთხრა და თავლები ეშმაკურად აატრიალა.

-რას ქვია ვალი გადახდილი გაქ?-ტვინში აასხა ბრაზი გულას.-რაა ცავ,ამას უძახი ვალის გადახდას?იცი რა გედევტაჲ მაშინ?არა რა,ბლაყვი ვარ ბლაყვი! კი არნა დაგხმარებოდი,თოვლინა წემეყარა თავზე,რომ მაჲ ყრალი ენა კიდვენ აღარ გეტარტარებია. მომინდომა ერთი წაფშუკუნებით ვალის მოხდა.მთელი ცხოვრება რომ მორბედად დიმიდგე ჩემი ვალიდან ვერ ამოხვალ გეჲგენი?-დუუკრიჭა ბიჭმა კბილები დამცინავად მოციცინე ციცას და ხელით გასასლელისკენ მიანიშნა.

გოგვების წასლის მერე რეჯებალაჲს ბადიში ოდაში ჩეჲკეტა და დიდხანს ბრაზობდა მის თავზე და იმ ხეპრე გოგოზე.ვერ მიმხტარიყო, ასე ადვილად რაფერ გამოყავდა ამ ციცას წყობიდან.,,სადმე ხრამთან რომ შემხდეს მარტვაი,წიხლს ვკარ და გადავჩეხავ მაგ ლიფსიტას მაგას...რა მოხდა მერე?,იმ ღამე წისქვილში რომ არ ვყოფილიყავ, კტარი არ იქნებოდა მაჲ ზავალი მაინც?“ -ფიქრობდა გულში და თანდათან ეცინებოდა საკუთარ თავზე,-,,ასე რაფერ მაპარპაშებს ეს ქალის ნაწყვეტაჲ, ეგიო“ .ბევრი ფიქრის მერე გულამ თავს პირობა დუუდვა, რომ არათუ ამ ციცას მეჲყვანდა ცოლად,პირიქით,ისე გუუმწარებდა სიცოცხლეს,რომ სამუდამოდ გააქცევდა სოფლიდან.

* * *

სახლში დაბრუნებული ხატოჲ ცოტა არ იყოს აფორიაქებული იყო.იმდენი ხანი უცადა გულასთან შეხვედრას,რომ თითქმის ყველა წუთი ქონდა წინდაწინ გაყურვილი*,მარა ბიჭისგან ამფერ შეხვედრას არ მეელოდა ციცაჲ.ეგონა ერთი შეხედვით დააბამდა და სამუდამოთ დეჲტევდა მის გვერდში,მარა ამდენი ნაფიშმანი ერთიანად ჩეეფუშა ხელებში.,,ამ ბიჭის მორჯულება ძნელი იქნება, მარა მაინც გევტან ჩემსო“-გადაწყვიტა ციცამ და დეიკაპიწა ხელები.

ჯერ იყო და შინავრები გააგზავნა ბიჭთან -,,ხოჯას უთქმია,უსტავლელს ციცას ვერ გავატანო,ნასტავლი კი მარტვაჲ შენ ხარ სოფელშიო“.-გულას ამაზე ბევრი უცინია და ასე

შუუთლია: -,,ქალაქში იმდენი ნასწავლია,რომ თუ ამფერი კაჲ ციცაჲ ყავდა,იქ მიეფეჩვებია* ვინმეჲსთვინო“. მერე იყო და,, ძველი ამბების გამო გულაჲ ვალდებულია ცოლად მეჲყვანოსო“.ამაზე გაბრაზებულს უთქმია:-,, იმისთინ ხომ არ გიდიმირჩენია,რომ ჩემი ცხოვრება ემენგრევიაო“და ა.შ. მარა რამემ არ გაჭრა. ბოლოს, ციცასაც ყიაში ამუუვდა გულაჲს ამდენი თავის დაფასება და გაბრაზებულმა ხალხში ხმა გაავცელა : ,,ხოჯა დედეჲ მაძალებს თვარა მაგფერ ძიგვაამოკერილ ფუხარას სალამსაც არ მივცემდიო“.ამას კი აღარ მეელოდა გულაჲ და ცოტა არ იყოს გულის ბალანი დუუთეშა* ხატოჲს სიტყვებმა.

იმ დღის მერე კაჲ ხანი რამე არ გუუგია ხატოზე.უკვე ზამთარი იყო და იმით იმშვიდებდა გულაჲ გულს,რომ ციცაჲ ქალაქში ვეღარ წევდოდა მისი მეგობარი გოგვებივით . ერთხელ ხოჯის ნათესავი ბიჭი ამოვდა მასთან და ჩუმად ხატოჲს წერილი მიაფეჩვა. ,,ვიცი, ჩემზე ძალვან ხარ გაბრაზებული,მარა მაინცნა გთხოვო ერთი რაცხა.ხვალ დილაზე შენს წისქვილში ამოვალ და დეგელაპარიკები.“-ეწერა წერილში. იმ ღამის გათენებას სულუხსარივით ელოდა გულაჲ.ამდენი გულისტკივილი უკვალოდ გამქრალიყო და ახლა,რადგან ასე შემობრუნდა საქმე,მზად იყო ფეხებში ჩავარდნოდა ციცას და მთელი ცხოვრება მის ფერებაში გეეტარებია. მთელი ღამე ზინზრიქებდა* ლოგინში და ბორგავდა.რაცხაფერ იქნა ძალით გაათენა ეს ღამე და მერე პაწაჲ შეეშინდა:,,ვაჲ,თუ სულ სხა რამეზე მიბარებს და სულას არ ფიქრობს იმაზე,რაზეც მეო.“ასე ხიხათ* ჯერ არ ყოფილა. უცბათაჲ სხვა რამე რომ ვერ მეჲფიქრა,გაახსენდა დედეჲს სიტყვები: ,, როჲცხა ძალვან გვიჭირს ქილისეში ავდივართ და თუ ვინმე არ გვიყურებს, გორხულო ქვების წინ ვიმუხლვით და უბეში გადანახულ სანთლებს ვანთებთ ძველებივით და იქავრ ღმერთს დახმარებას ვთხოვთო“... ჰოდა,გულამაც სანთლების დანთება გადაწყვიტა . რაფერ ეჲარა ქილისეჲს აღმართი ვერ მიხდა ბაღანამ.ამ ეზოში ამოსლა იმფერ შვებას აძლევდა გულზე,რომ ბაღნობიდან მოყოლებული,სულ აქ იოხებდა გულის დერდებს.ციცაჲს მოსლამდე სანთლების დანთება გადაწყვიტა.დაანთო კიდეც და რაცხაფერ მოახერხა,ისე მეჲლოცა იქავრი ღმერთი...მერე წისქვილში ჩევდა, დაანთო ცეცხლი და ის იყო, უნდა წამოწოლილიყო რომ კარებზე ვინცხამ დააკაკუნა.ბიჭი ნელა წამოდგა და კარი გააღო.კარში მარტვაჲ იდგა ციცაჲ.გულამ წისქვილში შუუშვა ხატოჲ და კარი მაგრად გამეჲხურა.

-მეგონა, ჩემი კიდვენ გეშინოდა და არ შემხდებოდი.-უთხრა ციცამ გულას და სექვზე წამოჯდა.ამ სიტყვებზე გულას სისხლი გეეყინა ძარღვებში და იმფერმა გაბრაზებულმა შუუბღვირა ციცას,რომ ი ზავალი შიშისგან კედელზე ეჲწურა.

-გისმენ!-ცივად უთხრა ციცას და თუთუნს მუუკიდა.

-ჰო,კაჲ ნუ იბრიქვი,რაცხანა გთხოვო,-დეიწყო სერიოზულად ციცამ.-დედეჲ ქალაქში აღარ მიშვებს,იმიჩემა: ,,ილლექი აქნა გათხოვდეო“.არ ვიცი რაფერნა მევქცე. ხომ ხედავ,არ ვარ მე სოფლის ქალი,აქ რამეში ვერ გამოვდგები,მარა არ მინდა დედეს გული ვატკინო.გამოზაფულებამდის დრო მინდა მოგვო.

-მერე მე რა შვაში ვარ?-გუუკვირდა გულას?

-შენდა დემეხმარო!

-რაფერ?

-დიმინიშნოდა!

-რაო?-ფეხზე წამოდგა გულაჲ,-გააფრინე?

-ვიცოდი,ვიცოდი რომ ამფერი მოშიშარაები იყავით სოფლელი ბიჭები. უფროსების უკითხველი ფეხსაც ვერ გადაგადგმევიებენ ვინმე.-თქვა ციცამ და ქვეჲდან ამოხედა გაკვირვებსგან პირდაფჩენილ ბიჭს.-შევცდი,არნა მოვსულიყავ! -წამეჲტირა ციცამ და წასლა დააპირა.ზაქარა პაწა ხანს გაჩერდა და მერე ციცას კითხა:

-ასე რაზენა მეჲქცე?

-თოვლი რომ ადნება ქალაქში წევალ და იმბიჭს წავყვები ცოლად,ვინც მიყვარს.-უპასუხა ციცამ.ამის გაგონებაზე რაცხა მწარედ ჩაწყდა გულას გულში, მარა თავი ხელში ეჲყვანა და ციცას კითხა:

-თუ იმ ბიჭზე წაყოლა გინდოდა, იქ არ იყავ,აქ რა მოგარბენიებდა?

-არა,იქიდან რომ გავთხოვილიყავ, დედეჲ ჩემს ნენეს ამა არასდროს აპატიებდა.

-ახლა რანნა ქნა?

-ახლა არაფერი,დედეჲ იილექი ვინცხას მიმათხვებს.ის ბიჭი რომ გაზაფხულზე ამოვა, თუ წიმიყვანა წავყვები,თუ არადა თავს მევკლავ.აქ მაინც არ დავჩები.-დეჲჩივლა ციცამ და ჩუმათაჲ ქვეშ-ქვეშ ამოხედა ბიჭს.გულას ცოტა არ იყოს, მართლა შეეცოდა გოგო და კითხა :

-ჩემთან რაზე მოჲ?

-შენ ერთადერთი ბიჭი იყავ ამ სოფელში რომელიც მომწონდა.ის ქალაქელი რომ არა, ალბათ , მთელი ცხოვრება შენზე ვიქნებოდი შეყვარებული,მარა ახლა ყველაფერი სხვანაჲრადაა.

-მე რაფერნა დეგეხმარო,მითხარ აბა.-ფიშმანის მერე უთხრა გულამ და გულდაწვეტილმა დუუყურა ციცაჲს ლაპარიკს...

* * *

ხატოჲს და გულაჲს ნიშნობა მთელი სოფლის სალაპარიკო გახდა.რას არ ყვებოდა ხალხი: ,,რეჯებალას ხოჯის სახში იმფერი ნიშან-ბოხჩა მუუტანია,რომ ხოჯას თვალები შუბზე ასლიაო“,სხვები კი ამბობდნენ: ,,იმ ფუხარა რეჯებალას რაჲს ფარა ქონდა,რომ გელინისთინ რამე მიეტანა,ისვენ ხოჯის მოტანილი მუუტანიან უკანო“ და ამფერები კიდვენ რამდენი...

გულას ისე ტკივოდა ყველაფერზე გული,რომ ზოგჯერ უკმაყოფილო მზერასაპარებდა ქილისეჲსკენ,ესაოდა,,,ერთხელ ვთხვე რაცხა და ისიც ამფრად შებრუნებული შიმისრულაო“,მარა თქმით ვინმესთან რამეს ვერ ამბობდა. დარცხვენილი ვერც თვალებში უყურებდა მოხუცებს და უმეტეს წილად ოდაში გამოკეტილი იჯდა.მართალია,იცოდა, რომ ეს ნიშნობა რამეს არ ნიშნავდა,მარა მაინც ხატოსთან შეხვედრიდან შეხვედრამდე ქონდა დრო მონიშნული.რომ გეკითხა, მერე რა იქნებაო,ვერაფერს გიპასუხებდა.თავის თავზე ეშლებოდა ნერვები: ,, ასე რაზე დემემართაო“... გამოზაფხულებულზე ოჯახებმა ქორწილისთინ დეჲწყეს ხიზმეთი*. ამით შეწუხებულმა გულამ ხატოს სახში მიაკითხა.მართალია,ჯერ კიდევ ციოდა, მარა ციცაჲ თხლათ ჩაცმული,დიდ შალმოხვევლი იდგა ტანტრაბაში და გზას უყურებდა. ყოველი წუთი,რომელიც ხატოსთან უნდა გეეტარებია დიდი ტკივილით და სიხარულით იყო სავსე.რაც უფრო ახლოს იყვენ დასასრულთან,მით უმფო მეტად უყვარდებოდა გულას ციცაჲ. ახლაც ისე უფრთხოდა სული,რომ მზად იყო მუხლებში ჩავარდნოდა და ისე ეთხოვა სიყვარული.ეპატიებია სხვისი სიყვარული და სამუდამოდ დეეხუჭა თვალი ყველაფერზე. უნდოდა რომ სამუდამოდ მის გვედში მდგარიყო და ყოველ მის ამოსუნთქვაზე თითო ნაბიჯით უფრო ზეჲთ ეეწია ეს გრძნობა.ახლოს მისულმა შენიშნა, რომ ხატო სულ მთლად გალურჯებულიყო სიცივისგან.

-რა ხდება,რატომ დგახარ ასე თხლად ჩაცმული ამ სიცივეში?-მზრუნველობით კითხა ბიჭმა და მხარზე ოდნავ გადამშპარი შალი ყელთან მუუყარა.მისი ყელის სითბო ისე მიეთბუნა თითებზე,რომ მთელი სხეული უუზინზრიქდა და ძლივაჲ შეჲკავა თავი და რომ გულში არ ჩეებღუჯა.

-ორ დღეში ქორწილი გვაქ,ზეგე დილას ი ბიჭი აქ ამოვა და დედეს ჩემ თავს თხოვს.კაჲ იქნებოდა,რომ შენაც შეპირებული გყოლოდა ვინმე და მარტვაჲ არ დარჩენილიყავ. ციცაჲს სიტყვებზე გულას მწარედ ჩეეცინა და ჩუმად უთხრა:

-მთავარია, შენ გიგიმართლოს ყველაფერში და მე რაცხა მეშველებაო.

იმ საღამოს გულასთან ხატოჲს გამოგზავნილი ბაღანა მოვდა და უთხრა რომ: ,,ხატომ თქვა, დღეს ღამე ჩემთან მოვდეს იილექიო.რაცხა შეჲცვალა და საქმეშინა ჩავახედო,თვარა ხვალ დილას ყველაფერი გვიან იქნებაო“.ამ ამბავმა სულ არია ბაღანა. დაღამებას გულის ზორზოლით* უცადა და როჲცხა ყველაფერი მიწყნადა, სახლიდან ქურდივით გეჲპარა და სიბნელეს შეერია.უსულით შევდა ხოჯის ეზოში და უჩუმარაჲ გედეჲპარა ტანტრაბაში.მოსინჯა ფანჯრები და რომელიც ღია იყო იმაში გადაძრა.ჩუმად მიმეჲხედა და როცხა დარწმუნდა, რომ ოთახი არ არევია, ფეხაკრეფით მივდა ციცაჲს ლოგინთან და ის იყო უნდა გეეღვიძებია,რომ გაშეშდა. ცხოვრებაში პირველად ხედავდა ლოგინში დაწოლილ ქალს.თეთრი მხრები მთვარესავით მუუჩანდა თეთრ ლოგინში ხატოს.ისე ღმათ ეძინა ციცას,რომ გულაჲ მზად იყო,აგზენ დარჩენილიყო და მისი ძილისთინ ედარაჯა მთელი სიცოცხლე.ამ წუთში მასზე ბედნიერი კაცი დუნიაზე არ დეიარებოდა.სული ყიაში ქონდა მობჯენილი და ძლივაჲ იკავებდა ცრემლებს.უნდოდა ხელში ეეხუპა და ასე ეწიკა* სიკდილის ბოლომდე მისი გულის ნაფეთქარი ციცაჲ... ამ ფიქრებშიიყო გულაჲ,რომ ხატოჲ ლოგინში გადაბრუნდა და თავზე დამდგარი კაცის რომ დეჲნახა, კინაღამ იკივლა,მარა მალე მოვდა გონზე და ლოგინში წამოჯდა.შიშველი მხრები ახლა კიდვენ უფრო მუუშიშვლდა ციცას და უფრო დიდზე დაზაფრა ყაზახი.

-დაჯექი ჩემთან!-ჩუმად უთხრა გულას და მის გვერდით ალაგზე მიანიშნა.

-არა,აგზე ვიქნები.-იუხერხულა ბიჭმა.

-მოჲ მეთქი,რაცხანა გითხრა!-ჩუუფურჩულა და გვერდზე მიიწია.

გულა ფთხილად ჩამოჯდა ხატოსთან და ყინულივით გაშეშდა.ხატომ მეორე ბალიში ამეჲღო ლოგინიდან და ზურგის უკან დუუდვა ბიჭს.გულა მთელი ტანით მიეყრდნო ბალიშს და გეჲტრუნა.ხატომ პაწაზე წამოწია თავი გულას მიაყრდნო მკერდზე. ბიჭი ისე აზინზრიქდა,რომ უკვე ვეღარაფერს მალავდა.ის იყო უნდა წამომხტარიყო ლოგინიდან,რომ ხატომ დააკავა.

-იცი რაზე დიგიბარე?-ჩუმად კითხა ციცამ ბიჭს და ქვეჲდან ახედა. -კიდვენ ერთი რაცხანა გაგანდო.მე რომ დღეს რამეჲს შეცლა შემეძლოს, - მოყვა ამბავს შორიდან,-ამქორწილს არ ჩავშლიდი და სამუდამოდ შენთან დავრჩებოდი,მარა ...

-რა მარა,რა ხდება?მითხარ თუ ღმერთი გწამს, თვარა ამძრა სული ცდაში.

-მინდა რომ ამ ღამეს ჩემთან დარჩე.მინდა,რომ ამით მაინც გიდიგიხადო ვალი,იმ ყველაფრისთინ,რაც ჩემზე გიგიკეთებია.

-არა,რას ამბობ?შენ მალე სხვისი ცოლინა გახდე.

-არა უშავს.მასთან უკვე ვიყავ და...ამიტომ რამე არ დემემჩნევა.-თქვა ციცამ და თვალი მოაშორა გულას.

თავზარდაცემული ბიჭი ყურებს არ უჯერებდა.უცბათაჲ იმფერი ბღეზი მეერია, რომ მზად იყო ყიაში ცემომოდა ციცას და ერთი ხელის მოსმით დეემთავრებია ყველაფერი.მარა, მარტო ეს არ იქნებოდა საკმარისი.უნდოდა,რომ მისი სიყვარულისთვის,საქმროს ღალატისთინ,ხოჯის შერცხვენისთინ და საერთოდ, ყველა უკეთურებისთინ ერთად ეზღვევია.ის იყო წამოდგა და ხელი წეჲღო ციცაჲსკენ, რომ კიდვენ ერთხელ გაშეშდა ზავალი.მის წინ ულამაზესი არსება იწვა ნახვარად წამომჯდარი და ცრემლიანი თვალებით ეხვეწებოდა: ,, ნუ გამწირავო!“. გულამ იგძნო, ცოტა კიდვენ რომ ეყურებია ამ ციცაჲსთინ,მართლა ვეღარ შეჲკავებდა თავს და უჭკვო ქალის დაკრულზე მოყვებოდა ცეკვას.ამას კი ებბედი ვერ აპატიებდა თავს.გულას დედეჲს ნათქვამი სიტყვები გაახსენდა უცბათაჲ: ,,ჭკვას კაცმა უნდა მუუხმოს,თვარა ქალებს იგი ზოგჯერ ჰიჩ არ მეეთხოვებაო “ და

იმწამალაჲ წუუჭირა ციცას ყიაში,მარა, დასახჩობად წაღებული ხელები მისთათვინაჲ რაფერ მეეხვია ხატოს,ეს ვერ მიხტა...დიდხანს ეფერებოდა და კოცნიდა ზაქარა მისთინ ამფერ საყვარელ და საძულველ სხეულს . უკვე ყველაფრის კვალი წაშლილიყო.ჰადმენ აღარ იყო სიყვარული და პატივისცემა, აღარც სიძულვილი და შუღლი.მარტო აჩხერებული სისხლი და აფორიაქებული სული დარჩენილიყო ქარიშხალივით,რომელიც ყველას და ყველაფერს გულში იხვევდა და ანადგურებდა...

ჰადამდე გაგრძელდა ყველაფერი,აღარ ახსოვდა გულას.უსიტყვოთ მიჩერებოდა ჭერს და თვალებიდან სიმწრის კურცხლები ცვიოდა.მის მკერდზე ჯერ კიდევ ფეთქავდა გული,რომლის მოსპობაც ასე გულით უნდოდა და მზად იყო კიდეც, ყოველ წუთში დეესრულებია დაწყებული საქმე, მარა, იმწამალაჲ ახსენდებოდა, რომ ყველაფერში მანაც იყო გარევლი და ამიტომაც იჯდა ხელფეხშეკრულივით. რამდენ ხანს იყო დაყუყვილი ციცაჲს ლოგინთან არ ახსოვდა,მარა როჲცხა ცაზე მთვარე ამეჲწვერა და ცის კაფაღზე მამალივით დაწუწდა*ისე გამოებაინდა ყოლიმფერი ,რომ წასლა დააპირა. მძიმედ აათრია ტანი ლოგინიდან და ის იყო ჩაცმას აპირებდა, რომ კიდვენ ერთხელ დეებუცა ლოგინს და სუნთქვა გუუკავდა,თაბრუ დეესხა და საწოლის წინ მუხლებზე ჩეიჩოქა.ასე დარჩა მანამ ,სანამ არ გეჲსაზრა, თუ რაფერ მოატყვილა კიდვენ ერთხელ ამ ციცამ და სამუდამოდ გააბა მახეში...

გულაჲ გათენებამდე ჰადმენ აღარ წესულა.ჰიჩ არ უფიქრია იმაზე,თუ რაფერ უნდა გესულიყო აქიდან ან რაფერნა ეეტანა ციცაჲს ოჯახისგან ქოთი* .ის ახლა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა და უსულ-უსულით ალაგებდა მომავლის გეგმებს. დილაადრიან ეზოში გესული ისე ნელა მიაბიჯებდა,გეგონებოდა უნდოდა,რომ მთელ სოფელს დეენახა ხატოჲს ოთახიდან გამოსული და მერე თუნდაც ყველას ერთად დეელეღვა მისთინ ცხვირპირი...ჭიშკართან მისულმა ფეხებთან მიფორთხებულ ძაღლს თავზე ხელი გუდუუსვა და შემთხვევით თვალი წამოკრა ღობეზე ინდაყვჩამოყრდნობილ რეჯებალას და ხოჯა ეფენდის,რომლებსაც ჩუმათაჲ ეცინებოდენ ბუჲღებში და მაშინათვე ყველაფერს მიხდა...გახარებულ ბაღანას მისთათვინაჲ გულში ჲაღები ჩუუდინდა და მადლიერი მზერა გეეპარა ჯვარიგორისკენ, სადაც გორხულო ქვიებით გარშემორტყმული ქილისე წიწილებით კალთა ამოვსებულ კრუხივით იდგა და მზრუნველ თვალს არ აშორებდა დუუთლელი დარდითა თუ სიხარულით დუნიაზე მომობნეულ შვილებს...

აჯეღი-სამაგიერო
გაყურვილი-გათვლილი
მიფეჩვება-მისაღება
დუუთეშა-დაუწვა,დაუთუთქა
ზინზრიქი-მოუსვენრობა
ხიხათ-ცუდად
მისთათვინაჲ-თავისით,მისდაუნებურად
ხიზმეთი-სამზადისი
ზორზოლი-კანკალი
ეწიკა-ეტარებია
დაწუწდა-დაჯდა ბატონივით
ქოთი-ცემა